

საქართველოს კანონი

წყლის შესახებ

წყალი უნიკალური და უპირველესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის, ადამიანის, ცხოველთა სამყაროს და მცენარეული საფარის არსებობისათვის აუცილებელი და საქართველოს ეკონომიკი განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია. საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და, შესაბამისად, გარემოს შემადგენელი ძირითადი კომპონენტის - წყლის დაცვას.

ყველა, საქართველოში მცხოვრები, ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი გაბინძურება, დანაგვიანება და დაშრება.

საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, მის წიაღში, კონტინენტურ შეღწეში, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში არსებული წყალი საქართველოს ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს.

კარი I

ზოგადი ნაწილი

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებული ტერმინები

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს, თუ კანონში განსაკუთრებული მითითება არ არის, აქვთ ამავე კანონის მე-2 მუხლში მოყვანილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. ტერმინების განმარტებანი

1. წყალსარგებლობა - წყლის რესურსების გამოყენება სასმელი, საყოფაცხოვრებო კომუნალური, სამრეწველო, ენერგეტიკული, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო, სამეცნიერო, კულტურული, რეკრეაციული, ბალნეოლოგიური, სპორტის, ტურიზმის და სხვა მიზნებისთვის ტექნიკური საშუალებებით ან უამისოდ.

2. წყალმოსარგებლე - ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. წყალაღება - წყლის ზედაპირული ან მიწისქვეშა ობიექტებიდან წყლის გარკვეული რაოდენობის ამოღება ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან უამისოდ.

4. წყალჩაშვება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო, საწარმოო, სადრენაჟო, სანიაღვრე და სხვა წყლების ორგანიზებული ჩაშვება ზედაპირული წყლის ობიექტებში.

5. ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტი - სასაზღვრო ზოლში განლაგებული მდინარე, ტბა და სხვა ზედაპირული წყალსატევი, რომლის ნაპირების მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეკუთვნის საქართველოს.

6. საქართველოს შიგა წყლები - მდინარეების, ტბების და სხვა წყლის ობიექტების წყლები, რომელთა ნაპირები მთლიანად ეკუთვნის საქართველოს; შავი ზღვის წყლები ხმელეთსა და ტერიტორიული წყლების ასათვლელად დადგენილ სწორ ამოსავალ ხაზებს შორის; საქართველოს ნავსადგურის წყლები, რომლებიც შემოსაზღვრულია ზღვის მხარეს ნავსადგურის ჰიდროტექნიკური ან მისი სხვა მუდმივი ნაგებობის უკიდურეს წერტილებზე გამავალი ხაზით.

7. მიწისქვეშა წყლები - წიაღისეული, წიაღში ნებისმიერ აგრეგატულ (თხევადი, მყარი, აირი), სტატიკურ თუ დინამიურ მდგომარეობაში არსებული წყალი.

8. საქართველოს ტერიტორიული წყლები – შავი ზღვის სანაპირო წყლების ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და რომელიც აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. (5.12.2008 N 624)

9. საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა - საზღვაო რაიონი, რომელიც აითვლება იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა და რომელთა სიგანეც არ აღემატება 200 საზღვაო მილს.

10. საქართველოს კონტინენტური შელფი - ზღვის ფსკერი და წყალქვეშა რაიონის წიაღი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მთელ მანძილზე ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე 200 საზღვაო მილის მანძილზე, ან ვრცელდება არა უმეტეს 200 საზღვაო მილისა იმ სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე.

11. კონტინენტური შელფის რესურსები - ზღვის ფსკერზე და მის წიაღში არსებული წიაღისეული და სხვა არაცოცხალი რესურსები, ზღვის ცხოველთა სამყაროს ის ობიექტები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც მათი სარეწაო მოპოვებისათვის განსაზღვრულ პერიოდში მიმაგრებულნი არიან ზღვის ფსკერზე ან წიაღში, ან შეუძლიათ გადაადგილდნენ მხოლოდ ზღვის ფსკერზე ან მის წიაღში.

12. წიაღი - მიწის ზედაპირის, ნიადაგის და წყალსატევების ფსკერის ქვეშ არსებული ან ხმელეთის ზედაპირზე გამომავალი დედამიწის ქერქის ნაწილი, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებებით ხელმისაწვდომია შესასწავლად და გამოსაყენებლად.

13. წიაღისეული - წიაღში არსებული ბუნებრივი წარმონაქმნები.

14. სასარგებლო წიაღისეული - დაძიებული წიაღისეული, რომლის მოპოვება და გადამუშავება მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების თანამედროვე დონეზე შესაძლებელი, ეკონომიკურად მიზანშეწონილი და ეკოლოგიურად მისაღებია.

15. სასარგებლო წიაღისეულის საბადო - წიაღის გარკვეულ ფარგლებში ბუნებრივად კონცენტრირებული სასარგებლო წიაღისეული.

16. სამთო მინაკუთვნი - წიაღით სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიაღით სარგებლობის უფლება.

(16. სამთო მინაკუთვნი – შესაბამისი სარგებლობის ლიცენზიით სივრცობრივად განსაზღვრული წიაღის უბანი, რომლის ფარგლებშიც წიაღით მოსარგებლეს ეძლევა წიაღით სარგებლობის უფლება. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

17. გეოლოგიური მინაკუთვნი - წიაღის უბანი, რომლის სარგებლობაში გადაცემა ხდება მხოლოდ წიაღის მარაგის შესწავლის მიზნით.

18. მდგრადი განვითარება - საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც გარემოს დაცვისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას-ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

19. მდგრადი განვითარების პრინციპები პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებულ გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის, "21 - ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის" და "ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების" დასკვნით დოკუმენტებში.

20. საქმიანობა - სამეწარმეო, სამეურნეო ან ყველა სხვაგვარი საქმიანობა, განსახლებისა და განვითარების გეგმებისა და პროექტების განხორციელება, ინფრასტრუქტურული პროექტების, განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმების, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის პროექტებისა და პროგრამების განხორციელების ჩათვლით, ასევე არსებული საწარმოების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია და ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, რომლებიც ახდენენ ან შეუძლიათ მოახდინონ გავლენა გარემოს მდგომარეობის ხარისხზე.

21. საქმიანობის სუბიექტი - საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტი.

22. გარემოსდაცვითი ნებართვა - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, მისი რეგიონალური და ადგილობრივი ორგანოებისა და აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროების წერილობითი გადაწყვეტილება. მისი შინაარსი, ფორმა (გაფორმების წესი) და გაცემის პროცედურა განსხვავებულია საქმიანობის კატეგორიის მიხედვით. გარემოსდაცვითი ნებართვა არის ინტეგრირებული ნებართვა, რომელიც შეიცავს ნებართვას გამონაბოლქვზე, ნარჩენების განთავსებაზე და სხვა. გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებს მხოლოდ ის საქმიანობა, რომლის განხორციელება დაგეგმილი იყო "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში

შესვლის შემდეგ. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

23. სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზა - აუცილებელი გარემოსდაცვითი ხასიათის ღონისძიება, რომელიც ხორციელდება საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

24. სამინისტრო - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო.

მუხლი 3. საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ

საქართველოს კანონმდებლობა წყლის შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონებს "გარემოს დაცვის შესახებ", "წიალის შესახებ", ამ კანონს და საქართველოს სხვა ნორმატიულ აქტებს წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში.

მუხლი 4. წყლის შესახებ საქართველოს კანონის მიზნები

ამ კანონის ძირითადი მიზანია:

ა) უზრუნველყოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;

ბ) წყლის ობიექტების (მათ შორის საქართველოს შავი ზღვის) დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით;

გ) სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკმაყოფილება;

დ) წყლის ცხოველთა სამყაროს მდგრადობა და მდგრადი გამოყენება;

ე) წყლის მავნე ზემოქმედების აცილება და შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია;

ვ) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გარანტირებული დაცვა წყლის დაცვის, გამოყენებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;

ზ) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების დაცვით;

თ) ფიზიკური ან იურიდიული პირების კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში.

მუხლი 5. წყლის შესახებ საქართველოს კანონის რეგულირების საგანი

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობას:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში;

ბ) ხმელეთზე, წიაღში, კონტინენტურ შელფზე, ტერიტორიულ წყლებში და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში წყლის დაცვის, აღდგენის და გამოყენების სფეროში;

გ) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში.

2. ეს კანონი განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის სფეროში.

(2. ეს კანონი განსაზღვრავს ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციებს წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის სფეროში. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. მიწისქვეშა წყლების დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს კანონით "წიაღის შესახებ".

4. წყლის ცხოველთა სამყაროს დაცვის, შესწავლის, აღწარმოებისა და გამოყენების სფეროში ურთიერთობა რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს კანონით "ცხოველთა სამყაროს შესახებ".

5. წყალსარგებლობის დროს ცხოველთა სამყაროს, მცენარეული საფარის, ტყის, მიწის და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

6. ეს კანონი მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

მუხლი 6. საქართველოს წყლის სტატუსი

1. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

2. წყალსარგებლობისათვის აუცილებელია უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ლიცენზია, რომლის ფორმა, შინაარსი და გაცემის წესი განსაზღვრულია ამ კანონის 48 - 52-ე მუხლებით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამდინარე, ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას, გარდა ამ კანონის 32-ე და 34-ე მუხლებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

(3. მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამდინარე, ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას, გარდა ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. საქართველოში წყალსარგებლობა ფასიანია, ამ კანონის 32-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევების გარდა. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 7. საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდი

1. საქართველოს წყლები, მათი მიწის ზედაპირზე და წიაღში განლაგების ნიშნით, რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით, იყოფა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებად.

2. ზედაპირულ წყლებს მიეკუთვნება ამ მუხლის მე-4 პუნქტში ჩამოთვლილი ყველა წყლის ობიექტის წყლები, "ბ" ქვეპუნქტში მითითებულის გარდა.

3. საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ქმნის წყლის სახელმწიფო ფონდს.

4. საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს განეკუთვნება:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები;

ბ) მიწისქვეშა წყლები (მათ შორის წყაროები და კონტინენტური შელფის წყლები);

გ) მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი;

დ) ჭაობები;

ე) საქართველოს ტერიტორიული წყლები;

ვ) განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები.

5. ამ კანონის 77-ე მუხლით დადგენილი წესით, წყლის ობიექტები რეგისტრირდება სახელმწიფო წყლის კადასტრში. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

6. წყლის სახელმწიფო ფონდს განკარგავენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

(6. წყლის სახელმწიფო ფონდს განკარგავენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები, ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

(25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 8. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა

1. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწად საქართველოს მიწის კანონმდებლობის შესაბამისად მიიჩნევა ის მიწა, რომელიც დაკავებულია ამ კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული წყლის ობიექტებით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა.შ.

2. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას.

3. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

მუხლი 9. წყლის ჯგუფები

1. წყლის ობიექტები მათი ჰიდროგრაფიული მახასიათებლების და გეოგრაფიული მდებარეობის, განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური, აგრეთვე ეკონომიკური მნიშვნელობისა და კონიუნქტურის გათვალისწინებით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

- ა) განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის;
- ბ) სახელმწიფო მნიშვნელობის;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის.

2. განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება:

- ა) მყინვარები და თოვლის მუდმივი საფარი;
- ბ) განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტები.

3. განსაკუთრებული სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით სპეციალური სარგებლობა იკრძალება მთლიანად ან ნაწილობრივ.

4. ამ კანონით დადგენილი წესით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებზე ნებადართულია:

ა) სამეცნიერო-კვლევითი და წყლის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფის სამუშაოები;

ბ) წყალსარგებლობა სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველსაყოფად, ხანძარსაწინააღმდეგო საჭიროებისათვის, სტიქიური უბედურების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

5. განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტზე (ან მის ნაწილზე), რომლითაც სპეციალური სარგებლობა ნაწილობრივ აკრძალულია, არ დაიშვება (მუდმივად ან განსაზღვრულ პერიოდებში) საქმიანობის ცალკეული სახეობები წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების გამოსაყენებლად.

6. სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება:

ა) ჭაობები;

ბ) ზედაპირული წყლის ის ობიექტები, რომელთა წყლის ფონდის მიწები განლაგებულია საქართველოს ორი ან მეტი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (რაიონის) ტერიტორიაზე;

(ბ) ზედაპირული წყლის ის ობიექტები, რომელთა წყლის ფონდის მიწები განლაგებულია საქართველოს ორი ან მეტი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე;

(25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

გ) ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტები;

დ) ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლები;

ე) მიწისქვეშა წყლების მნიშვნელოვანი საბადოები.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის ჯგუფს მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა წყლის ობიექტი, გარდა ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით განსაზღვრული წყლის ობიექტებისა.

8. განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხებს ადგენს და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით "განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხების" დამტკიცების თაობაზე", ხოლო სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის ობიექტების ნუსხას ამტკიცებენ სამინისტრო და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი ერთობლივი ბრძანებით "სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე".

(8. განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხებს ადგენს და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით „განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხების დამტკიცების თაობაზე“. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

თავი II

კომპეტენციის გამიჯვნა წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში

მუხლი 10. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში

წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

- ა) სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;
- ბ) წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტების მიღება და მათი შესრულების კონტროლი;
- გ) წყლის დაცვისა და გამოყენების რეგულირებისა და კონტროლის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება;
- დ) დაცული ტერიტორიების შექმნა წყლის სახელმწიფო ფონდის მიწებზე;
- ე) წყალსარგებლობის გადასახადის, გაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტის და სხვა უარყოფითი ზეგავლენის მქონე ქმედებისათვის ჯარიმისა და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენა;

(ე) გაბინძურებისათვის, დანაგვიანებისათვის, დაშრეტისათვის და სხვა უარყოფითი ზეგავლენის მქონე ქმედებისათვის ჯარიმისა და მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის წესის დადგენა; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

ვ) წყლის დაცვისა და გამოყენების ერთიანი სახელმწიფო კონტროლი საქართველოს სახმელეთო ტერიტორიაზე, ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფზე და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში;

ზ) წყლის დაცვის ორგანიზება და მისი გამოყენების სახელმწიფო რეგულირება;

თ) წყლის უნებართვო გამოყენების და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთა; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ი) ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის კოორდინირება წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;

კ) წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა ცალკეულ წყლის ობიექტებზე, მათ შორის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში;

ლ) წყლის სახელმწიფო აღრიცხვა, მისი გამოყენების რეგისტრირება და წყლის სახელმწიფო კადასტრის წარმოება; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მ) წყლის მდგომარეობაზე დაკვირვებისა და ანალიზის (მონიტორინგის) სისტემა;

ნ) წყლის დაცვისა და გამოყენების, წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და წყლით ვაჭრობის წესების, საერთო სახელმწიფო ნორმატივების, კვოტების, ლიმიტების, სახელმწიფო სტანდარტებისა და ხარისხის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დადგენა;

ო) წყლის რესურსების და მის გამოყენებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ფონდის შექმნა ("წიალის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ფონდის ფარგლებში) და მისი განკარგვა. ასევე, წყლის რესურსების და მის გამოყენებასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტატისტიკის წარმოების წესის დადგენა და წარმოება;

პ) სახელმწიფო წყლის მარაგის, წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების, წყალსამეურნეო ბალანსის შემუშავება და დამტკიცება; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ჟ) "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" და "სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ" საქართველოს კანონებით განსაზღვრულ ფარგლებში სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის წარმოება და გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემა ყოველგვარ საქმიანობაზე, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს წყლისა და მისი ობიექტების მდგომარეობაზე მისი გამოყენების დროს; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

რ) საქართველოს ტერიტორიაზე წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული კომპლექსური სქემების, ლიმიტებისა და პროგრამების ფარგლებში განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ფონდის განკარგვა და სამთო მინაკუთვნის გამოყოფა მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციოდ;

(**რ**) საქართველოს ტერიტორიაზე წყლის გამოყენებისა და დაცვის წესების შემუშავება განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ფონდის განკარგვის მიზნით და სამთო მინაკუთვნის გამოყოფა მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციოდ; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ს) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების ლიცენზიის გაცემა; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ტ) წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა სამუშაოთა კოორდინირება, ორგანიზება და დაფინანსება;

უ) წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადება;

ფ) ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზიანებული განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება.

მუხლი 11. საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში

1. წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოთა კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული კომპლექსური სქემების, ლიმიტებისა და პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო მნიშვნელობის იმ ზედაპირული წყლის სახელმწიფო ფონდის განკარგვა, რომელთა წყლის ფონდის მიწები განლაგებულია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე და მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაციისათვის სამთო მინაკუთვნის გამოყოფა,;

(ა) წყლის გამოყენებისა და დაცვის პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო მნიშვნელობის იმ ზედაპირული წყლის სახელმწიფო ფონდის განკარგვა, რომლის წყლის ფონდის მიწები განლაგებულია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, და მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციოდ სამთო მინაკუთვნის გამოყოფა; (25.03.2013.

N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ბ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის დაცვასა და გამოყენებაზე კონტროლის განხორციელება;

გ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის დაცვის ორგანიზება და მისი გამოყენების სახელმწიფო რეგულირება;

დ) წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების შემუშავებაში მონაწილეობა; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ე) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებებზე ზედამხედველობა;

ვ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის სახელმწიფო აღრიცხვა, მისი გამოყენების რეგისტრირება;

ზ) მონაწილეობა საქართველოს წყლების გამოყენებისა და დაცვის ერთიანი, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში;

თ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის გატარება, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა სამუშაოთა კოორდინირება, ორგანიზება და დაფინანსება;

ი) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში, წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა;

კ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის უნებართვო გამოყენების და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთა; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ლ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფით დაზიანებული სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება;

მ) ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა ავტონომიური რესპუბლიკის კომპეტენციის ფარგლებში;

ნ) წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 12. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში

წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის რაციონალურად გამოყენების და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლით უნებართვო სარგებლობის და წყლის ობიექტებზე თვითნებური სამეურნეო საქმიანობის აღკვეთა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის დაცვისა და გამოყენების კონტროლი;

დ) წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების შემუშავებაში მონაწილეობა;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის სახელმწიფო აღრიცხვა, მისი გამოყენების რეგისტრირება;

ვ) საქართველოს წყლების გამოყენებისა და დაცვის ერთიანი, სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში მონაწილეობა;

ზ) ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის სახელმწიფო ფონდის განკარგვა და მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაციისათვის მიწის მინაკუთვნის გამოყოფა წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული სქემების, ლიმიტებისა და პროგრამების ფარგლებში;

თ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში, წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა;

ი) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფით დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება;

კ) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ტერიტორიაზე წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტა მათი კომპეტენციის ფარგლებში;

ლ) წყლის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

(მუხლი 12. თვითმმართველი ერთეულების კომპეტენცია წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყალთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგების სფეროში თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებების ზედამხედველობა;

ბ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის გამოყენებისა და დაცვის კონტროლი;

გ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის აღრიცხვა და მისი გამოყენების რეგისტრირება;

დ) საქართველოს წყლების გამოყენებისა და დაცვის ერთიანი სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

ე) ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ფონდის განკარგვა და მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციოდ მიწის მინაკუთვნის გამოყოფა წყლის გამოყენებისა და დაცვის დამტკიცებული პროგრამების ფარგლებში;

ვ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ცალკეულ ობიექტებზე, მათ შორის, ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის ზონაში, წყალსარგებლობის შეზღუდვა ან აკრძალვა;

ზ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე ბუნებრივი კატასტროფით დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტების აღდგენის სამუშაოთა დაფინანსება;

თ) თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიაზე წყლის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული დავების გადაწყვეტა მათი კომპეტენციის ფარგლებში;

ი) წყლის გამოყენებასა და დაცვასთან დაკავშირებული სხვა საკითხების გადაწყვეტა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.)

მუხლი 13. ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობა წყლის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა განხორციელებაში

1. ფიზიკური და იურიდიული პირები მონაწილეობენ წყლის დაცვის, რაციონალური და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფის საქმიანობაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან:

ა) დაიცვან წყალი გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან;

ბ) ხელი შეუწყონ ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წყლის დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

გ) შეატყობინონ სათანადო ორგანოებს წყლის დაცვის კანონმდებლობის მათთვის ცნობილი დარღვევები.

3. ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისაგან მიიღონ სრული, დროული და ობიექტური ინფორმაცია (სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გარდა) წყლის მდგომარეობის შესახებ;

ბ) შესაბამის სასამართლოში აღძრან სარჩელი იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით) მიმართ, რომლებიც არღვევენ საქართველოს კანონმდებლობას წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში;

გ) ხელი შეუწყონ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციას;

დ) უშუალო მონაწილეობა მიიღონ წყლის დაცვის სამუშაოებში;

ე) შეიტანონ წინადადებები წყლის დაცვის გაუმჯობესების თაობაზე.

კარი II

ძირითადი ნაწილი

თავი III

წყლის დაცვა

მუხლი 14. წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა

1. წყლის დაცვის ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო, ხოლო მათი კომპეტენციიდან გამომდინარე, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ბიუჯეტებიდან.

(1. წყლის დაცვის ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტებიდან – მათი კომპეტენციიდან გამომდინარე. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. წყლის დაცვის ღონისძიებები იგეგმება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით - ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტების გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე - "გარემოს დაცვის შესახებ", "წიაღის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ" და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად. ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების შედგენის წესსა და პერიოდულობას განსაზღვრავს საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობა.

3. წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ ღონისძიებათა შემუშავებასა და ინტეგრირებას:

ა) საქართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატურ გეგმებში; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ბ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (რაიონების) მიწათმოწყობის სქემებში;

(ბ) თვითმმართველი ერთეულების მიწათმოწყობის სქემებში; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

გ) განსახლებისა და განვითარების გეგმებსა და პროექტებში;

დ) ინფრასტრუქტურულ პროექტებში;

ე) განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმებში;

ვ) დაცული ტერიტორიების სამენეჯმენტო გეგმებში;

ზ) სატყეო მეურნეობის ორგანიზებისა და გაძლიერების პერსპექტიულ და სამენეჯმენტო გეგმებში;

თ) საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის გეგმებში, პროექტებსა და პროგრამებში.

4. წყლის დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვისა და განხორციელების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგ ძირითად მოთხოვნათა შესრულება:

ა) წყლის ობიექტების დაცვა გაბინძურების, დანაგვიანების, დაშრეტის და სხვა ისეთი უარყოფითი ზემოქმედებისაგან, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსახლეობის ჯანმრთელობას, შეამციროს თევზის მარაგი, გააუარესოს წყალმომარაგების პირობები და გამოიწვიოს წყლის ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური თვისებების

გაუარესება, ბუნებრივი თვითგაწმენდის უნარის დაქვეითება, წყლის ჰიდროლოგიური და ჰიდროგეოლოგიური რეჟიმის დარღვევა და სხვა არასასურველი შედეგები;

ბ) მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ხარისხის წყალზე;

გ) განსაკუთრებული სამეცნიერო, ესთეტიკური და რეკრეაციული მნიშვნელობის წყლის ობიექტების დაცვა;

დ) სასმელი და ტექნიკური წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონებში დადგენილი რეჟიმის განუხრელი დაცვა;

ე) წყლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების გარემოს მდგომარეობაზე გავლენის სარწმუნო პროგნოზირება, შეფასება და აუცილებელი ზომების განხორციელება გარემოსა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ვ) წყლის ცალკეული ობიექტებისათვის დაცული ტერიტორიის კატეგორიის მინიჭება;

ზ) წყლის ცხოველთა სამყაროს სახეობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნება;

თ) ზღვისა და წყლის სხვა ობიექტების, სანაპირო ზოლებისა და ზონების შენარჩუნება და დაცვა;

ი) წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია.

5. დაცული ტერიტორიების ფარგლებში წყლის დაცვის ღონისძიებები იგეგმება ამ კანონისა და "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე.

6. ზღვის სანაპირო ზონის ფარგლებში წყლის დაცვის ღონისძიებები იგეგმება ამ კანონისა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე.

მუხლი 15. წყლის დაცვა გაბინძურებისა და დანაგვიანებისაგან

1. აკრძალულია წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნაყარისა და ნარჩენების ჩაყრა.

2. აკრძალულია ტოქსიკური, რადიაქტიური, აგრეთვე სხვა სახიფათო ნარჩენების ყოველგვარი განთავსება და დამარხვა ზღვაში, წყლის სხვა ობიექტებში და მათი დაცვის ზოლებში.

3. წყლის ობიექტებში საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ჩამდინარე წყლის ჩაშვება დასაშვებია სამინისტროს ლიცენზიის საფუძველზე მხოლოდ ამ კანონის 51-ე და 52-ე მუხლებით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

4. წყლის ტრანსპორტის, მილსადენების, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელნი, ხე-ტყის დამცურებელი ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან არ დაუშვან წყლის გაბინძურება და დანაგვიანება ზეთის, მერქნის, ქიმიური, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა პროდუქტების დანაკარგებით.

5. ხე-ტყის დაცურებით დაკავებული ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან რეგულარულად გაწმინდონ დაცურების გზები ჩაძირული და მოტივტივე მერქნისაგან.

6. აკრძალულია ტივად შეუკრავი ხე-ტყის დაცურება.

7. ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან არ დაუშვან წყალშემკრები აუზების, წყალსატევების, თოვლის და ყინულის, მყინვარების და თოვლის მუდმივი საფარის გაბინძურება და დანაგვიანება საწარმოო, საყოფაცხოვრებო და სხვაგვარი ნაყარით, ნარჩენითა და გამონაბოლქვით, რომელთა ჩარეცხვა გამოიწვევს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის გაუარესებას.

8. მიწის მესაკუთრეები და მოსარგებლები ვალდებული არიან არ დაუშვან წყლის გაბინძურება მინერალური და ორგანული სასუქებით და შხამქიმიკატებით.

9. აკრძალულია წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სიახლოვეს და მათი სანიტარიული დაცვის ზონებში საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაგროვება, ჩამდინარე წყლებით რწყვა, ისეთი ობიექტების მშენებლობა და სხვაგვარი საქმიანობა, რომელმაც წყლის გაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს.

10. აკრძალულია შთანთქმელი ჭაბურღილების ბურღვა და შთანთქმელი ჭების მოწყობა, აგრეთვე გაზისა და ნავთობის დამუშავებული საბადოს, შახტებისა და კარიერების, ბუნებრივი მიწისქვეშა სიცარიელების გამოყენება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად, თუ ამას შეუძლია გამოიწვიოს მიწისქვეშა წყლების შემცველი ჰორიზონტების გაბინძურება.

11. შავი ზღვის დაცვისა და მისი ეკოსისტემის შენარჩუნების მიზნით ყოველი ფიზიკური და იურიდიული პირი (მათ შორის უცხოელები) ვალდებულია განახორციელოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხმელეთზე მდებარე გაბინძურების წყაროებიდან, გემებიდან, კონტინენტურ შეღწეულ საქმიანობის შედეგად, საზღვაო ტრანსპორტით ტვირთბრუნვის დროს, ატმოსფეროდან, ზღვაში ჩამდინარე წყლებით ზღვის საშიში ნივთიერებებითა და მასალებით გაბინძურების თავიდან აცილებას.

მუხლი 16. წყლის დაცვა დაშრეტისაგან

1. წყლის დაშრეტისაგან დაცვის მიზნით:

ა) აკრძალულია გარემოსდაცვითი ნებართვის გარეშე "გარემოსდაცვითი ნებართვის რცილება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს წყლის მდგომარეობაზე;

ბ) წყლით სპეციალური სარგებლობა დაიშვება მხოლოდ სამინისტროს მიერ დამტკიცებული წყლის გამოყენების და დაცვის კომპლექსური სქემებისა და წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე გაცემული ლიცენზიით;

გ) აკრძალულია მიწისქვეშა წყლების ამოღება სხვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით, წყლის დონის დაწევა ნაგებობების მშენებლობის, ტერიტორიების და ობიექტების სავარაუდო დატბორვისაგან დაცვის დროს, მელიორირებულ მიწებზე სადრენაჟო სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია წყალსარგებლობის ლიცენზიის გარეშე;

დ) თვითმდენი ძებნითი და საძიებო ჭაბურღილები, აგრეთვე ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ჭაბურღილები, ან რომელთაც არ იყენებენ, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობებით, ან უნდა დაკონსერვდეს ან იქნეს ლიკვიდირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) მიწისქვეშა წყლების ყველა წყალამღები უნდა აღიჭურვოს მოწყობილობებით წყლის რეჟიმზე სისტემატური დაკვირვებისათვის და წყალსაზომით - ექსპლუატაციის პროცესში წყლის დებეტის დასადგენად.

(1. წყლის დაშრეტისაგან დაცვის მიზნით: (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

ა) თვითმდენი ძებნითი და საძიებო ჭაბურღილები, აგრეთვე ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი ჭაბურღილები ან ჭაბურღილები, რომლებიც არ გამოიყენება, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობებით ან უნდა დაკონსერვდეს ან ლიკვიდირებული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ბ) მიწისქვეშა წყლების ყველა წყალამღები უნდა აღიჭურვოს მოწყობილობებით წყლის რეჟიმზე სისტემატური დაკვირვებისათვის და წყალსაზომით - ექსპლუატაციის პროცესში წყლის დებეტის დასადგენად.)

2. თუ წიაღისეულის ძიებისა და შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა ჩატარების, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობის და ექსპლუატაციის დროს გაიხსნა მიწისქვეშა წყლის შემცველი ჰორიზონტი, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია დადგენილი წესით დროულად მიიღოს ზომები მიწისქვეშა წყლების დასაცავად და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ სამინისტროს, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტს და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.

(2. თუ წიაღისეულის ძიებისა და შესწავლის, სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წარმოების, მიწისქვეშა ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს გაიხსნა მიწისქვეშა წყლის შემცველი ჰორიზონტი, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია, დადგენილი წესით დროულად მიიღოს ზომები მიწისქვეშა წყლის დასაცავად და დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის შესახებ სამინისტროს და შესაბამის თვითმმართველ ერთეულს. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

3. მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის სხვა ობიექტების ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების მოლამვის, წყლის ცხოველთა საბინადრო გარემოს გაუარესების თავიდან ასაცილებლად, წყლის ჩამონადენის ცვალებადობის შესამცირებლად და სხვა, იქმნება წყლის დამცავი ტყის ზონები, აგრეთვე ტარდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 17. შავი ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვა

1. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში შავი ზღვის ცხოველთა სამყაროსა(თევზები, წყლის უხერხემლოები და ზღვის ძუძუმწოვრები) და სხვა ცოცხალი რესურსების დაცვის მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს:

ა) ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით და სხვა ცოცხალი რესურსებით სარგებლობის აკრძალვისა და შეზღუდვის დაწესება

ბ) ზღვის გარეულ ცხოველთა საბინადრო გარემოს, გამრავლების პირობების და არელების და სამიგრაციო გზების დაცვას;

გ) ზღვის აკვატორიის ფარგლებში დაცული ტერიტორიების შექმნას;

დ) საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ ზღვის გარეულ ცხოველთა სახეობების დაცვას და გენოფონდის რეზერვატების შექმნისა და ფუნქციონირების დაფინანსებას; (06.06.2003 N 2365)

ე) ზღვის ცხოველთა სამყაროს და სხვა ცოცხალი რესურსებით თვითნებური სარგებლობისგან და სხვა დარღვევებისაგან დაცვას;

ვ) ზღვის გარეულ ცხოველთა დალუპვის თავიდან აცილების მიზნით იმ სამშენებლო, საწარმოო თუ ტექნოლოგიური პროცესების პროექტების ექსპერტიზას, რომელთა განხორციელებამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ცხოველთა სამყაროს;

ზ) სტიქიური უბედურების ან სხვა მიზეზით შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის დროს ზღვის გარეული ცხოველებისათვის დახმარების აღმოჩენას და გადარჩენას;

თ) იმ მეცნიერული კვლევების დაფინანსებას, რომელთა მიზანია ზღვის ცხოველთა სამყაროს და სხვა ცოცხალი რესურსების დაცვის მეთოდების დამუშავება და დახვეწა

ი) ზღვის გარეული ცხოველების ცალკეულ სახეობათა კეთილდღეობის სტატუსის დადგენას;

კ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ზღვის ცხოველთა სამყაროს და სხვა ცოცხალი რესურსების დაცვის პროპაგანდას.

2. აკრძალულია მცირე ვეშაპისებრთა მოპოვება, გარდა "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. აკრძალულია ზღვის ძუძუმწოვრებზე წყალქვეშა ნადირობა.

4. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობა უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე. ამ მიზნით სამინისტრო:

ა) ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ განსაზღვრავს სარგებლობისათვის დაშვებულ ზღვის ცხოველთა სამყაროს ყოველი ცალკეული ობიექტისათვის ყოველწლიური მოპოვების დასაშვებ რაოდენობას (ბუნებრივი რესურსით სარგებლობის კვოტას) და ამ რაოდენობის იმ ნაწილს, რომელიც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების ან შეთანხმებების საფუძველზე შეიძლება სარგებლობისთვის გადაეცეს უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს - "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი "გარემოზე დატვირთვის ნორმების შესახებ" დებულებით. სარგებლობისათვის დაშვებულ ზღვის ცხოველთა სამყაროს ყოველი ცალკეული ობიექტისათვის ყოველწლიური მოპოვების დასაშვები რაოდენობა (კვოტა) განისაზღვრება "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი "ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კვოტების დადგენის წესის შესახებ" დებულებით;

ბ) აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გამოყოფს ზღვის ცალკეულ რაიონს (რაიონებს), სადაც უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ აწარმოონ ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების

მოპოვება. ამგვარი რაიონის (რაიონების) გამოყოფა უნდა მოხდეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით „ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოსაპოვებლად უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გამოყოფილი შავი ზღვის ცალკეული რაიონის (რაიონების) დამტკიცების შესახებ“. (5.12.2008 N 624)

(ბ) აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გამოყოფს ზღვის ცალკეულ რაიონს (რაიონებს), სადაც უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვება. ამგვარი რაიონი (რაიონები) უნდა გამოიყოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით „ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოსაპოვებლად უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გამოყოფილი შავი ზღვის ცალკეული რაიონის (რაიონების) დამტკიცების შესახებ“. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

5. საქართველოს მდინარეების ანადრომული (თევზის ის სახეობები, რომელთა მასობრივი სეზონური გადაადგილება ხდება მდინარის წყლის დინების საწინააღმდეგოდ) სახეობის თევზების დაცვა ხორციელდება მათი აღწარმოებისათვის აუცილებელი პირობების შექმნის, საბინადრო გარემოს შენარჩუნების, რეწვის რეგულირების წესების დადგენის, საქართველოს ტერიტორიული წყლების, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებში და მის ფარგლებს გარეთ დასაშვები მოპოვების საერთო რაოდენობის დადგენის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ღონისძიებების გატარების გზით.

6. საქართველოს მდინარეების ანადრომული სახეობის თევზის რესურსებთან დაკავშირებული ღონისძიებების და წესების დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ ხორციელდება საქართველოსა და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე.

7. საქართველოს მდინარეების ანადრომული სახეობის თევზის რეწვა სხვა დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ საქართველოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ ხორციელდება საქართველოსა და ამ სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

8. აკრძალულია საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში შავი ზღვის წყალში არსებული ქიმიური ნივთიერებების ამოღება სამრეწველო მიზნით სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვისა და წყალყსარგებლობის ლიცენზიის გარეშე. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

9. აკრძალულია საქართველოს კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების შესწავლასთან, მოპოვებასა და დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ნაგებობებისა და მოწყობილობების ზღვაში უნებართვო მშენებლობა და აღმართვა. ამ საქმიანობის ნებართვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემენ სამინისტრო და საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო საქართველოს შინაგან საქმეთა

სამინისტროსთან შეთანხმებით. (8.05.2012. N6164) ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

10. საქართველოს კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების შესწავლასთან, მოპოვებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო ნაგებობებისა და მოწყობილობების გარშემო იქმნება უსაფრთხოების ზონა, რომლის გავრცელების რადიუსი ნაგებობებისა და მოწყობილობების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება აღწევდეს 500 მეტრს. ნაგებობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირობების დაცვა:

ა) ეს ნაგებობები და მოწყობილობები და მათი უსაფრთხოების ზონა არ შეიძლება განლაგდეს ზღვის იმ მონაკვეთებზე, რომლებზედაც გადის საერთაშორისო საზღვაო ნაოსნობის გზები;

ბ) გემის შესვლა ამ ნაგებობებისა და მოწყობილობების უსაფრთხოების ზონის საზღვრებში შეიძლება მხოლოდ სპეციალური ნებართვით, რომელსაც გასცემს ამ ნაგებობებისა და მოწყობილობების მესაკუთრე ფიზიკური ან იურიდიული პირი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებით; (5.12.2008 N 624)

გ) ნაგებობების და მოწყობილობების მესაკუთრე ან მოსარგებლე ფიზიკური ან იურიდიული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ამ ნაგებობების და მოწყობილობების დაცვა, მათი ზღვაში არსებობის მანიშნებელი საშუალებების გამართულ მდგომარეობაში ყოფნა, უსაფრთხოების ზონაში ზღვის ცოცხალი რესურსების დაცვის ღონისძიებათა გატარება;

დ) ნაგებობები და მოწყობილობები, რომელთა ექსპლუატაცია საბოლოოდ დამთავრებულია ან შეწყვეტილია კომპეტენტური სახელმწიფო უწყებების გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარება ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ამოღებული უნდა იქნენ ზღვიდან.

11. საქართველოს სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დროს დაცული უნდა იყოს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც აპირებს ასეთი საქმიანობის განხორციელებას, ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესითა და ფორმით. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირის ვინაობა. (5.12.2008 N 624)

12. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზღვის ცხოველთა სამყაროს დაცვის სტიმულირებისთვის ხდება ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალური და მორალური წახალისება.

13. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ზღვის ცხოველთა სამყაროს ცალკეული ობიექტების, სხვა ცოცხალი ორგანიზმების, კონტინენტური შელფის რესურსების დაცვის, შენარჩუნებისა და აღწარმოების მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია შეზღუდოს ან

აკრძალოს ამ რესურსებით სარგებლობა გავრცელების მთელ არეალში ან მის ნაწილზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში შავი ზღვის ბუნებრივი რესურსების დაცვასთან, შესწავლასთან და მოპოვებასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები რეგულირდება "გარემოს დაცვის შესახებ", "ცხოველთა სამყაროს შესახებ", "წიაღის შესახებ", "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 18. იმ საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტის განლაგება,
დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაცემა,
რომელიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე

1. ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს წყლის რაციონალური გამოყენება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით და სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დასაკმაყოფილებლად. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და მათში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლის დაცვას გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას, მიწების დატბორვის შეზღუდვას მინიმალურად აუცილებელ დონემდე, მიწების დაცვას დამლაშების, წყლის შედგომის ან გამოშრობისაგან, აგრეთვე ბუნებრივი გარემოსა და ლანდშაფტის შენარჩუნებას.

2. თევზსამეურნეო წყალსატევებზე ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტის განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისას ამ მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან ერთად დროულად უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი თევზის, წყლის ცხოველთა სამყაროს სხვა ობიექტების და მცენარეების დაცვის და მათი აღწარმოების პირობების უზრუნველსაყოფად.

3. ახალი თუ რეკონსტრუირებული საწარმოს, ნაგებობის და სხვა ობიექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი ძირითადი პირობების დაცვა:

- ა) წყლის ობიექტში ჩასაშვები ჩამდინარე წყლის გაწმენდა დადგენილ ნორმამდე;
- ბ) აკრძალულია ბუნებრივი წყალსატევის გამოყენება ჩამდინარე წყლის განზავებისათვის;
- გ) აკრძალულია ჩამდინარე წყლებით იმ მიწების მორწყვა, რომელთაც არ გააჩნიათ მიწისქვეშა წყლების რეჟიმზე და შემადგენლობაზე დაკვირვების ქსელი.

4. აკრძალულია საექსპლუატაციოდ გადაეცეს:

- ა) ახალი და რეკონსტრუირებული საწარმო, საამქრო, ტერმინალი, აგრეგატი, კომუნალური და სხვა ობიექტები, თუ მათ არ გააჩნიათ სათანადო მოწყობილობა,

რომელიც უზრუნველყოფს წყლის გაბინძურების, დანაგვიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას;

ბ) სარწყავი და გაწყლოვანების სისტემა, წყალსაცავი და არხი, ვიდრე არ გატარდება პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები მიწების დატბორვის, წყლის შედგომის, დაჭაობების და დამლაშების, ნიადაგის ეროზიის თავიდან ასაცილებლად;

გ) დამშრობი სისტემები - თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მზად არ იქნება წყლის მიმღები და სხვა ნაგებობები;

დ) წყალამღები ნაგებობები - თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მათ არ გააჩნიათ თევზის დამცავი მოწყობილობა;

ე) ჰიდროტექნიკური ნაგებობები - თუ დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მზად არ იქნება წყალდიდობისას ზედმეტი წყლის და თევზის გამტარი მოწყობილობები და მდინარეთა კალაპოტები, აგრეთვე, უზრუნველყოფილი არ იქნება შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაცვის ღონისძიებები;

ვ) მიწისქვეშა წყლების ამღები ნაგებობები და ჭაბურღილები - წყლის მარეგულირებელი და მიწისქვეშა წყლების რეჟიმზე დაკვირვების მოწყობილობებით მათი აღჭურვისა და შესაბამის შემთხვევებში, სანიტარიული დაცვის ზონების დადგენის გარეშე;

ზ) ნავთობპროდუქტების მილსადენი და ტერმინალი - წყლის გაბინძურებისაგან დაცვის, ნავთობპროდუქტების გაჟონვის აღმომჩენი, საკონტროლო გამზომი, წყლის ობიექტებში ნავთობპროდუქტების შესაძლო მოხვედრის ადგილებში ნავთობდამჭერი მოწყობილობების და საშუალებების, საავარიო სამსახურის (მათ შორის, საინფორმაციოს) გარეშე;

თ) თვითმავალი და არათვითმავალი გემები, რომელთაც არ გააჩნიათ გემზე წარმოქმნილი ტექნიკური და სხვა ჩამდინარე წყლების შემკრები მოწყობილობა.

5. აკრძალულია წყალსაცავის ავსება, ვიდრე არ განხორციელდება მისი კალაპოტის მოსამზადებლად პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. იმ საწარმოს, ნაგებობისა და სხვა ობიექტის მშენებლობის ადგილი, რომელიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, უნდა შეთანხმდეს სამინისტროსთან, საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან, აგრეთვე სხვა ორგანოებთან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 19. წყალდაცვითი ზოლი

1. წყალდაცვით ზოლებს მიეკუთვნება მდინარეების, ტბების, წყალსაცავების სანაპირო ზოლები, მაგისტრალური და სხვა არხების გასხვისების ზოლი, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ზოლები.

2. წყლის ობიექტებში და წყალდაცვით ზოლებში მშენებლობა, ფსკერის დაღრმავება და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის, ტორფის, საპროპელის, დაძირული მერქნის მოპოვება, კაბელის, მილსადენისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტყის ჭრა, ბურღვითი და სხვა საქმიანობა ხორციელდება

სამუშაოთა წარმოებაზე გარემოსდაცვითი ნებართვის და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ლიცენზიების საფუძველზე და წესით.

(2. წყლის ობიექტებსა და წყალდაცვით ზოლებში მშენებლობა, ფსკერის დაღრმავება და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულის, ტორფის, საპროპელის, დაძირული მერქნის მოპოვება, კაბელის, მილსადენისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტყის ჭრა, ბურღვითი და სხვა საქმიანობა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

3. წყალდაცვითი ზოლის საზღვრების დადგენის წესი, ამ ზოლში დაშვებული საქმიანობის ჩამონათვალი, პირობები და რეჟიმი განისაზღვრება დებულებით "წყალდაცვითი ზოლის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს სამინისტრო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან, საქართველოს მიწის მართვის და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით და ამტკიცებს სამინისტრო.

(3. წყალდაცვითი ზოლის საზღვრების დადგენის წესი, ამ ზოლში დაშვებული საქმიანობის ჩამონათვალი, პირობები და რეჟიმი განისაზღვრება დებულებით „წყალდაცვითი ზოლის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 20. მდინარის წყალდაცვითი ზოლი

1. მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

2. წყალდაცვით ზოლში შეიძლება შეტანილ იქნეს მდინარის მშრალი კალაპოტი, მისი მიმდებარე ტერასები, შემადღებელი და ციცაბოფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები, აგრეთვე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება მდინარის ნაპირებს.

3. მდინარის წყალდაცვითი ზოლის სიგანე აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს მეტრებში შემდეგი წესით:

- ა) 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის - 10 მეტრი;
- ბ) 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის - 20 მეტრი;
- გ) 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარისათვის - 30 მეტრი;
- დ) 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარისათვის - 50 მეტრი.

4. ამ ზოლის ფარგლებში აკრძალულია:

ა) მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;

ბ) საჭაერო დაფრქვევის გზით მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შეწამვლა შხამქიმიკატებით;

გ) შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების, აგრეთვე სხვადასხვაგვარი საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების შენახვა-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა.

5. წყალდაცვით ზოლში განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, როგორც წესი, უნდა აღიჭურვონ სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რათა მთლიანად გამოირიცხოს მდინარის გაბინძურებისა და დანაგვიანების შესაძლებლობა.

მუხლი 21. სანიტარიული დაცვის ზონები

1. იმ წყლის დაცვის მიზნით, რომელსაც იყენებენ სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის, იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. არსებულ ან მშენებარე საერთო დანიშნულების წყალსადენს ან წყალსადენს ტექნიკური მიზნებისათვის, რომელიც ასევე გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსახლეობის წყლით მომარაგებისათვის, უნდა ჰქონდეს წყალმომარაგების იმ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონა, რომლიდანაც იკვებება.

3. წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონა იყოფა სამ სარტყლად და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული რეჟიმი აქვს.

4. პირველი სარტყელი (მკაცრი რეჟიმის ზონა) მოიცავს ტერიტორიას, სადაც მდებარეობს წყალმომარაგების წყლის ობიექტი, წყლის აღების უბნებისა და წყალსადენის ნაგებობების განლაგების ფარგლებში. აუცილებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებული სანიტარიული მაჩვენებლებიდან გამომდინარე და სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე, პირველ სარტყელში ჩაირთვება ასევე წყლის აღების უბნებისა და წყალსადენის ნაგებობების განლაგების ადგილების მიმდებარე ტერიტორია. პირველ სარტყელში აკრძალულია:

ა) იმ პირთა ცხოვრება და დროებით ყოფნა, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებულნი წყალსადენის ნაგებობების მომსახურებასთან, გარდა იმ პირებისა, რომლებიც, წყალსადენის ტექნიკური საჭიროებიდან გამომდინარე, ჩარიცხულნი არიან მომსახურე პერსონალის საშტატო განრიგში და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირების გარდა;

ბ) ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელისა); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის ძოვება და დარწყულება, რეცხვა, თევზჭერა, შხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით;

5. მეორე სარტყელი მოიცავს ტერიტორიას, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება წყალმომარაგების წყლის ობიექტებს და მათ შენაკადებს. მეორე სარტყელში აკრძალულია:

ა) ტერიტორიის ან წყლის ობიექტების ისეთი გამოყენება, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს წყლის ხარისხობრივი ან რაოდენობრივი გაუარესება;

ბ) მშენებლობა, მცენარეული საფარის მოსპობა, სარკინიგზო და საავტომობილო გზების გაყვანა, მიწის უბნების გამოყენება სასოფლო - სამეურნეო დანიშნულებით. ამ სარტყელში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები დაიშვება მხოლოდ სამინისტროს და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების გადაწყვეტილებით.

(ბ) მშენებლობა, მცენარეული საფარის მოსპობა, სარკინიგზო და საავტომობილო გზების გაყვანა, მიწის უბნების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება. ამ სარტყელში სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები დაიშვება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანოების გადაწყვეტილებით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

6. მესამე სარტყელი მოიცავს მეორე სარტყლის მოსაზღვრე ტერიტორიას, რომლის არასასურველმა მდგომარეობამ შეიძლება გამოიწვიოს წყლის ქიმიური გაბინძურება.

7. წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონებს თითოეულ დასახლებულ პუნქტში ადგენენ და მათ სარტყლებად ყოფენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები წინასწარ შემუშავებული პროექტის საფუძველზე და ამტკიცებენ სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(7. წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების და მათი სარტყლების უფლებამოსილი ორგანოსთვის წარდგენისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

7¹. მიწისქვეშა წყლის ობიექტის, რომელიც ექვემდებარება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღებას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შემუშავებული სანიტარიული დაცვის ზონის პროექტის უფლებამოსილი ორგანოსათვის წარდგენისა და დამტკიცების წესი დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. (20.03.2012 N 5917)

8. წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის თითოეული ზონის საზღვრები ზუსტად უნდა განისაზღვროს რუკაზე, ხოლო ზონის პირველი სარტყლის საზღვრები უნდა იყოს შემოღობილი, შესაბამისი ნიშნულებით (ბოძები წარწერით და ა.შ.) აღნიშნული და დაცვის სამსახურით უზრუნველყოფილი.

9. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან გააცნონ მოსახლეობას წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონისა და მისი სარტყლების საზღვრები, აგრეთვე ამ ზონის ფარგლებში მოქმედი რეჟიმი.

(9. თვითმმართველი ერთეულები ვალდებული არიან, გააცნონ მოსახლეობას წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონისა და მისი სარტყლების საზღვრები, აგრეთვე ამ ზონის ფარგლებში მოქმედი რეჟიმი. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

10. წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონის ფარგლებში მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებით ტარდება აუცილებელი სანიტარიულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

11. სანიტარიული დაცვის ზონის შექმნის, საზღვრების დადგენის, სარტყლების გამოყოფისა და მათ ფარგლებში დაშვებული საქმიანობის ჩამონათვალი და წესები განისაზღვრება დებულებით "სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალო და საკურორტო საჭიროებისათვის წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ", რომელსაც შეიმუშავენ და ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 22. წყალდაცვით ზოლში მიწის გამოყენების მოთხოვნები

1. წყალდაცვითი ზოლის მიწები შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკუთრებაში ან სარგებლობაში საქმიანობის ამ კანონით დადგენილი შეზღუდვების დაცვის პირობით.

2. ამ კანონით დადგენილი შეზღუდვები ვრცელდება ფიზიკური ან იურიდიული პირების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან მის ნაწილზე, თუ ეს მიწის ნაკვეთი ან მის ნაწილი დადგენილი წყალდაცვითი ზოლის ფარგლებშია.

3. წყალდაცვითი ზოლის მიწები საკუთრებაში ან სარგებლობაში გადაეცემათ საქართველოს მიწის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მიწის გამოყენებას აკონტროლებენ სამინისტრო, მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, სხვა ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში.

(4. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში მიწის გამოყენებას აკონტროლებენ სამინისტრო და თვითმმართველი ერთეულები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 23. წყალდაცვით ზოლში ტყის გამოყენების მოთხოვნები

1. წყალდაცვითი ზოლის ტყეებში სამეურნეო საქმიანობის რეჟიმი მიმართული უნდა იყოს წყლის ბუნებრივი თვისებების შესანარჩუნებლად.

2. წყალდაცვითი ზოლის ტყეებში აკრძალულია ყოველგვარი ჭრანებადართულია მხოლოდ იმ სატყეო სამეურნეო ღონისძიებათა ჩატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტების გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან დაცვას.

3. წყალდაცვითი ზოლის ტყით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის წესსა და ფორმას განსაზღვრავს საქართველოს ტყის კანონმდებლობა.

(3. წყალდაცვითი ზოლის ტყით სარგებლობის გენერალური ლიცენზიის გაცემის წესი და ფორმა განისაზღვრება საქართველოს ტყის კანონმდებლობით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში ტყით სარგებლობას აკონტროლებენ სამინისტრო, საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. სამინისტრო უფლებამოსილია შეაჩეროს ან აკრძალოს ტყით სარგებლობა, თუ ეს უარყოფითად მოქმედებს წყლის მდგომარეობაზე.

(4. წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში ტყით სარგებლობას აკონტროლებენ სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი დაწესებულებები და თვითმმართველი ერთეულები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. ისინი უფლებამოსილი არიან, შეაჩერონ ან აკრძალონ ტყით სარგებლობა, თუ ეს უარყოფითად მოქმედებს წყლის მდგომარეობაზე. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 24. წყლის დაცვა დაცული ტერიტორიების სისტემით

1. უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - წყლის, უნიკალური იშვიათი და დამახასიათებელი ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დასაცავად და აღსადგენად, მათი სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული და ბუნებრივი რესურსების დამზოგავი მეურნეობის განსავითარებლად გამოყენების უზრუნველსაყოფად წყლის ცალკეულ ობიექტებს შეიძლება მიენიჭოთ დაცული ტერიტორიის შესაბამისი კატეგორია "დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

2. დაცული ტერიტორიის კატეგორიის მქონე წყლის ობიექტის ან დაცული ტერიტორიის ფარგლებში არსებული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების რეჟიმს ადგენს საქართველოს კანონმდებლობა.

3. საქართველოს წყლის ობიექტების დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართვა (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია) ხორციელდება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით დადგენილი ნორმებით.

4. დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ქსელში ჩართული წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენებას სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით და საქართველოს კანონმდებლობით.

5. დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით ყალიბდება წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდი. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

6. წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდი იქმნება განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

7. წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის შექმნის წესს შეიმუშავებს და საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ბრძანებით დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე არსებული წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

8. წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის საზღვრებს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით ადგენს საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი ბრძანებით დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის საზღვრების დამტკიცების თაობაზე. საზღვრები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იცვლება საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ბრძანებით, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

თავი IV

წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ლიკვიდაცია

მუხლი 25. ფიზიკური და იურიდიული პირების მოვალეობა წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებასა და მისი შედეგების ლიკვიდაციაზე

1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ წყლის ობიექტებით სარგებლობას და დაცვას, ვალდებული არიან სამინისტროსთან და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით ან მათი მითითებით გაატარონ წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები.

(1. ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ წყლის ობიექტებით სარგებლობას და მათ დაცვას, ვალდებული არიან, სამინისტროსთან და თვითმმართველ ერთეულებთან შეთანხმებით ან მათი მითითებით გაატარონ წყლის მავნე

ზემოქმედების თავიდან აცილების და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებები.

(25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. წყლის მავნე ზემოქმედებაში იგულისხმება:

ა) წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედგომა;

ბ) ნაპირების რღვევა, დამცველი ჯებირების და სხვა ნაგებობათა ნგრევა;

გ) მიწების დაჭაობება და დამლაშება;

დ) ნიადაგის წყლისმიერი ეროზია, ხრამის, მეწყერის, ღვარცოფისა და სხვა მავნე მოვლენათა წარმოქმნა.

მუხლი 26. წყალდიდობის სახეები და მათი შედეგები

1. წყალდიდობის მავნე შედეგი შეიძლება იყოს:

ა) მდინარის კალაპოტის რღვევა და დეფორმაცია, ნაპირებისა და ფერდობების ჩამორეცხვა ან ჩამონგრევა;

ბ) წყალდიდობისაგან დამცავი (ჯებირი, დამბები და სხვა) და ჰიდროტექნიკური (წყალმიმღებები, კაშხლები და სხვა) ნაგებობების დაზიანება, დარღვევა და ნგრევა;

დ) დასახლებული პუნქტების, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, ტყის მასივების, ხიდების, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალის, მრეწველობის და სხვა სამეურნეო ობიექტების დატბორვა, აგრეთვე მათი ჩამორეცხვა, დანგრევა და დაზიანება და ამ ობიექტების ტექნიკური ექსპლუატაციის ნორმალური პირობების დარღვევა.

2. წყლის ჩამონადენისა და დონეების ფორმირების პირობების მიხედვით დგინდება წყალდიდობის შემდეგი სახეები:

ა) გაზაფხულის და შემოდგომის წყალმეტობა;

ბ) წვიმისა და ნიაღვრის წყალმოვარდნა;

გ) ღვარცოფი.

3. მოსალოდნელი წყალდიდობა სიმძლავრისა და საფრთხის დონის მიხედვით პირობითად იყოფა სამ კატეგორიად:

ა) საშიში მოვლენა;

ბ) განსაკუთრებით საშიში მოვლენა;

გ) სტიქიური უბედურება.

4. საშიში მოვლენა ხასიათდება ყოველწლიური ან ხშირად განმეორებადი ჩვეულებრივი წყალმოვარდნით, რაც განაპირობებს წყლის დონის აწევას და კალაპოტის უმნიშვნელო წარეცხვას, რის შედეგადაც შეიძლება დაირღვეს ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტების ნორმალური მუშაობა (ათვისებული მიწების დროებით დატბორვა, გზის ვაკისის, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების გამორეცხვა და დაზიანება, საქალაქო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის მუშაობის ხანმოკლე შეფერხება და სხვა).

5. განსაკუთრებით საშიში მოვლენა ხასიათდება წყალმოვარდნით ან ღვარცოფით, რაც განაპირობებს ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების ტერიტორიების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, აგრეთვე მსხვილი სამეურნეო ობიექტების და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ფართობის ნაწილობრივ შეტბორვას და დატბორვას, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს:

ა) ელექტროენერჯის მიწოდების და კავშირგაბმულობის მუშაობის შეწყვეტა 6 და მეტი საათით;

ბ) ქალაქებისა და მსხვილი სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგებისა და ელექტრომომარაგების, აგრეთვე საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის შეფერხება ან შეწყვეტა 24 და მეტი საათით;

გ) საცხოვრებელი სახლების, ადმინისტრაციული და საწარმოო შენობა-ნაგებობების, სამშენებლო და სამრეწველო ობიექტების ნაწილობრივ დანგრევა და დაზიანება. 6. სტიქიური უბედურება ხასიათდება განსაკუთრებით საშიში და იშვიათად განმეორებადი წყალმოვარდნითა და ღვარცოფით, რაც იწვევს ათვისებული მიწების მნიშვნელოვანი ფართობის დატბორვას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეურნეო ობიექტების, საცხოვრებელი სახლების, საწარმოო შენობა-ნაგებობათა და სხვა ობიექტების მასობრივ ნგრევასა და დაზიანებას, აგრეთვე მოსახლეობის გადასახლებას საშიში ზონიდან და დაზიანებული სახლებიდან.

7. მოსალოდნელი საფრთხის შეტყობინება ხდება მოცემული გრადაციის მიხედვით მოვლენის ხასიათის აღნიშვნით.

მუხლი 27. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების

ლიკვიდაციის სამუშაოთა ხელმძღვანელობის სისტემა **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოთა ორგანიზაციისათვის იქმნება სპეციალური მუდმივმოქმედი კომისიები სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებათა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თანამდებობის პირთა შემადგენლობით.

2. აღნიშნული კომისიების მითითებები მათი უფლებამოსილების ფარგლებში სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

3. კომისიები იქმნება:

ა) საქართველოს პრეზიდენტთან - წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საგანგებო კომისია;

ბ) ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან - წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ავტონომიური რესპუბლიკების კომისიები;

გ) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან - წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები;

დ) სახელმწიფო სამთავრობო დაწესებულებებთან - წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიები.

4. საშიში მოვლენების დროს წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოებსა და მისი შედეგების ლიკვიდაციას უშუალოდ ხელმძღვანელობენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის რაიონული და საქალაქო კომისიები.

5. განსაკუთრებით საშიში მოვლენების დროს წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოების და მისი შედეგების ლიკვიდაციის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებენ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის ავტონომიური რესპუბლიკების კომისიები, რაიონული და საქალაქო კომისიები, რომლებიც კოორდინირებას უწევენ

წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის საუწყებო კომისიების მუშაობას. ეს კომისიები წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საგანგებო კომისიას აწვდიან ინფორმაციას სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ მათი განხორციელების პროცესში.

6. სტიქიური უბედურების დროს წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობის ოპერატიულ ხელმძღვანელობას ახორციელებს უშუალოდ წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო საგანგებო კომისია.

7. წყალდიდობის და წყლის სხვა მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, შედეგების ლიკვიდირებისა და გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების, საქმიანობის შეზღუდვის, კომისიების უფლებამოსილებების, დაკომპლექტებისა და ფუნქციონირების წესი დგინდება "საქართველოში წყალდიდობების და წყლის სხვა მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ" დებულებით, რომელსაც ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 28. წყალდიდობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა დაფინანსება

წყალდიდობის პროგნოზირების, შედეგების ლიკვიდაციის და აღდგენითი სამუშაოები დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ავტონომიური რესპუბლიკების და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების შემოწირულობებით.

საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობა და საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ზონა

1. საგანგებო მდგომარეობა ცხადდება ტერიტორიაზე, სადაც წყალდიდობის ან წყლის სხვა მავნე ზემოქმედების შედეგად გაუარესდა გარემოს მდგომარეობა ან დაირღვა ეკოლოგიური წონასწორობა, საფრთხე შეექმნა ადამიანის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, მცენარეულ საფარს და ცხოველთა სამყაროს და წარმოქმნილი მდგომარეობა ფასდება, როგორც ეკოლოგიური კატასტროფა.

2. ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, იქმნება საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონა.

3. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონას აცხადებს და აუქმებს საქართველოს პრეზიდენტი.

4. საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის და ეკოლოგიური უბედურების ზონის რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

თავი V

წყალსარგებლობა

მუხლი 30. წყალსარგებლობის ობიექტი

1. სარგებლობისათვის გაიცემა ამ კანონის მე-7 მუხლში აღნიშნული წყლის ობიექტები.

2. იმ წყლის ობიექტებით სარგებლობა, რომელთაც აქვთ ამ კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ან განსაკუთრებული სამეცნიერო თუ კულტურული ღირებულება, შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ აიკრძალოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 31. წყალსარგებლობის სახეობები

1. წყალსარგებლობა მოიცავს:

ა) წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებას ან გადაგდებას, დაგუბებას, წყლის დონის ან დინების ხელოვნურ შეცვლას;

ბ) წყლის ობიექტიდან ნივთიერებების ამოღებას ან მასში ნივთიერებების შეტანას და ნახმარი ჩამდინარე წყლების ჩაშვებას;

გ) სხვადასხვა დანიშნულების იმ ნაგებობათა მშენებლობას და ექსპლუატაციას, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე;

დ) მიწისქვეშა წყლების შესწავლას.

2. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს წყალსარგებლობის სხვა სახეობებიც.

3. წყალსარგებლობა ხორციელდება საერთო და სპეციალური წყალსარგებლობის ფორმით.

მუხლი 32. საერთო წყალსარგებლობა

1. საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება არასამრეწველო, პირადი (ინდივიდუალური) სასმელი და საყოფაცხოვრებო, ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებად ისეთი ნაგებობების და მოწყობილობების გამოუყენებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე.

2. საერთო წყალსარგებლობა ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზნებით შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს უმარტივესი ნაგებობებით და მოწყობილობებით, რომლებიც არ ტარდება სახელმწიფო წყლის კადასტრში (გუბურა, მიწისქვეშა წყლების შახტური ჭა და სხვა) და განლაგებული არიან ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში ან სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე.

(2. საერთო წყალსარგებლობა ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზნებით შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს უმარტივესი ნაგებობებითა და მოწყობილობებით (გუბურა, მიწისქვეშა წყლების შახტური ჭა და სხვა), რომლებიც განლაგებულია ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაში ან სარგებლობაში მყოფ მიწის ნაკვეთზე. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. საერთო წყალსარგებლობა უფასოა.

4. საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება ლიცენზიის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით.

5. მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მიზნებით, გასაჭრელი შახტური ჭის, ჩასასობმილიანი ფილტრირებული ჭის, აგრეთვე

წყაროების კაპტაჟების მოწყობის მეშვეობით, თუ ისინი მოქმედებენ ისე, რომ არ ხდება წყლის დონის იძულებითი დაწვევა, ხორციელდება საერთო წყალსარგებლობის ფორმით.

6. გასაჭრელი შახტური ჭის, ჩასასობმილიანი ფილტრირებული ჭის, აგრეთვე წყაროების კაპტაჟების მოწყობა მიწისქვეშა წყლებით საერთო წყალსარგებლობის ფორმით ექვემდებარება რეგისტრირებას მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

7. რეგისტრაციის ფორმა და წესი განისაზღვრება დებულებით "მიწისქვეშა წყლებით საერთო წყალსარგებლობის განხორციელებისათვის საჭირო უმარტივესი ნაგებობების და მოწყობილობების რეგისტრაციის წესის შესახებ", რომელსაც შეიმუშავენ და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 33. სპეციალური წყალსარგებლობა

1. სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება ისეთი ნაგებობებისა და ტექნიკური მოწყობილობების გამოყენებით, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე.

2. სპეციალურ წყალსარგებლობას, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება მიეკუთვნოს აგრეთვე წყლის ობიექტით სარგებლობა ნაგებობათა და ტექნიკურ მოწყობილობათა გამოყენებლად, თუ ეს გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე.

3. წყლის ობიექტები შეიძლება გადაიცეს სპეციალურ სარგებლობაში შემდეგი მიზნებისათვის: **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

- ა) სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის;
- ბ) რეკრეაციისათვის (დასვენება, სპორტი, ტურიზმი, ბალნეოლოგია, და ა.შ.);
- გ) შესწავლისათვის (მიწისქვეშა წყლების);
- დ) მრეწველობისათვის;
- ე) სოფლის მეურნეობისათვის;
- ვ) ჰიდროენერგეტიკისა და სხვა ჰიდროტექნიკური მშენებლობებისათვის;
- ზ) თევზის მეურნეობისათვის და წყლის ცხოველთა სამყაროს სხვა ობიექტების და მცენარეული რესურსების მოსაპოვებლად;
- თ) სამონადირეო მეურნეობისათვის;
- ი) საწყლოსნო და საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობისათვის;
- კ) შახტებიდან და კარიერებიდან სადრენაჟო, სანიაღვრე, ნახმარი წყლების და სხვა ჩამდინარე წყლების ჩასაშვებლად;
- ლ) ხე-ტყის დასაცურებლად;
- მ) სასარგებლო წიაღისეულის, მათ შორის, არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფის, საპროპელის, დატბორილი მერქნის, წყალში გახსნილი და შეტივანარებული (კოლოიდური) ნივთიერებების ამოსაღებად, აგრეთვე წყლის ობიექტებზე საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის, მილსადენების და კომუნიკაციების მოწყობის და სხვა სამუშაოთა ჩასატარებლად;

ნ) იმ ბუნებრივი მასალების დასამარხად, რომლებიც ამოღებულია საზღვაო მისადგომების და პორტების მშენებლობის ან რეკონსტრუქციის წარმოების, ან მოცემული წყლის ობიექტის აკვატორიის ფარგლებში ფარვარტერის ჩაღრმავების გამო;

ო) წყლის ამოსაღებად ან გადასაგდებად, დასაგუბებლად, დონის ან დინების ხელოვნურად შესაცვლელად.

4. წყლის ობიექტები შეიძლება გადაიცეს სპეციალურ სარგებლობაში სხვა მიზნებისთვისაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 34. საერთო წყალსარგებლობა სპეციალურ

სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტზე ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. საერთო წყალსარგებლობა სპეციალურ სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტზე დასაშვებია იმ პირობების დაცვით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის მფლობელი წყალმოსარგებლე ლიცენზიის გამცემ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება აკრძალულიც იქნეს.

2. წყალმოსარგებლე ვალდებულია გამოაცხადოს მისთვის სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტზე საერთო წყალსარგებლობის პირობები ან მათი აკრძალვა.

3. ამ პირობების ან აკრძალვის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, წყლის კანონმდებლობის შესაბამისად, საერთო წყალსარგებლობა აღიარებული იქნება ნებადართულად და შეუზღუდავად.

მუხლი 35. წყლის ობიექტით ერთობლივი და განკერძოებული

სარგებლობა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყლის ობიექტი შეიძლება გადაიცეს სპეციალურ სარგებლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე მიზნით, ერთობლივ ან განკერძოებულ სარგებლობაში.

2. წყლის ობიექტი ან მისი ნაწილები შეიძლება ერთობლივ სარგებლობაში გადაეცეს რამდენიმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

3. წყლის ობიექტის ერთობლივი სარგებლობის დროს წყალმოსარგებლეები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ და დააკმაყოფილონ ურთიერთინტერესები და დაიცვან მხარეთა უფლებები წყლის ობიექტის ფარგლებში და მის აუზში.

4. მიწისქვეშა წყლების ერთი საბადო რამდენიმე მოსარგებლემ უნდა დაამუშაოს შეთანხმებული ტექნოლოგიური სქემით, რომელიც გამორიცხავს მის არარაციონალურ გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში წყალმოსარგებლეთა კოორდინაცია მათი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ საწარმოს. აღნიშნული პირობები ფიქსირდება ლიცენზიაში.

5. ერთი და იმავე გეოლოგიური მინაკუთვნის საზღვრებში მიწისქვეშა წყლების შესწავლის სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს სხვადასხვა ლიცენზიით.

6. სამთო მინაკუთვნის ფარგლებში სხვა საქმიანობა სხვა პირებმა შეიძლება განახორციელონ მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის თანხმობით მათ შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. დაუშვებელია წყალსარგებლობის უფლების გადაცემა.

მუხლი 36. მოსახლეობის დაკმაყოფილება სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების წყლით

წყლის ობიექტები სარგებლობაში გაიცემა, უპირველეს ყოვლისა, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

მუხლი 37. მიწის მინაკუთვნი ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. მიწის მინაკუთვნი არის მიწის მონაკვეთი, რომელსაც გამოუყოფენ მოსარგებლეს წყლის ობიექტის ან მისი ნაწილის სარგებლობაში გადაცემის დროს, სამთო მინაკუთვნის ფარგლებში, - თუ იგი ეწევა მიწისქვეშა წყლების ექსპლუატაციას, ან წყლის ობიექტის წყლის ფონდის მიწებიდან (ან მისი მიმდებარე ტერიტორიიდან) - ზედაპირული წყლების ექსპლუატაციისას.

2. მიწის მინაკუთვნის ზომებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სამინისტრო მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით. 3. მიწის მინაკუთვნი წყალსარგებლობის ლიცენზიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და ავტომატურად გაიცემა წყალსარგებლობის ლიცენზიასთან ერთად საქართველოს მიწის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38. წყალმოსარგებლე

1. წყალმოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, მათ შორის უცხოელიც, საკუთრების ფორმის განურჩევლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მიწისქვეშა წყლებით სპეციალური ფორმით მოსარგებლე შეიძლება იყოს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. წყალმოსარგებლე იყენებს ლიცენზიაში ჩამოთვლილ ყველა უფლებას და პასუხს აგებს მისი პირობების დაცვაზე. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მუხლი 39. წყალმოსარგებლის უფლებები

1. წყალმოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს წყლის ობიექტებით საერთო სარგებლობის ფორმით;

ბ) დადგენილი წესით ისარგებლოს წყლის ობიექტებით სპეციალური სარგებლობის ფორმით, ლიცენზიის შესაბამისად;

გ) წყალსარგებლობაზე და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებაზე ლიცენზიების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენოს თავისი შრომის შედეგი, მათ შორის მოპოვებული წყალი;

დ) გამოყოფილი მიწის მინაკუთვნიან ფარგლებში ლიცენზიით განსაზღვრული მიზნით აწარმოოს მეურნეობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას;

ე) მიმართოს ლიცენზიის გამცემ ორგანოს ლიცენზიით განსაზღვრული პირობების შესაცვლელად, თუ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მდგომარეობა არსებითად შეიცვალა;

ვ) ისარგებლოს უპირატესი უფლებით ლიცენზიის ვადის გაგრძელების დროს;

ზ) ფიზიკური და იურიდიული პირების უკანონო მოქმედების გამო, რასაც მოჰყვა წყლის ობიექტის გაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა, შეიტანოს სარჩელი ზიანის ასანაზღაურებლად, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

თ) დადგენილი წესით გაასაჩივროს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევენ მის უფლებებს წყალსარგებლობაზე.

(1. წყალმოსარგებლეს უფლება აქვს:

ა) ისარგებლოს წყლის ობიექტებით საერთო სარგებლობის ფორმით;

ბ) ფიზიკური ან იურიდიული პირის უკანონო მოქმედების გამო, რომელსაც მოჰყვა წყლის ობიექტის გაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიტანოს სარჩელი ზიანის ასანაზღაურებლად;

გ) დადგენილი წესით გაასაჩივროს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა და თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებები, რომლებიც არღვევენ მის უფლებებს წყალსარგებლობაზე. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სარგებლობაში გადაცემული წყლის ობიექტის ფარგლებში, დასაშვებია მხოლოდ ლიცენზიის მფლობელის თანხმობით. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. მიწის მესაკუთრეს და მიწით მოსარგებლეს უფლება აქვს გამოიყენოს მის ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტები ლიცენზიის გარეშე მხოლოდ საერთო წყალსარგებლობის ფორმით, თუ ამით არ ზარალდებიან სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები და არ არის მოსალოდნელი წყლის მახასიათებლების არასასურველი ცვლილება. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

4. წყლის ობიექტებით მოსარგებლეს აქვს სარგებლობის სხვა უფლებებზე, რომლებსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

5. წყალმოსარგებლის უფლებები შეიძლება გაფართოვდეს ან შეიზღუდოს საქართველოს კანონმდებლობით.

6. წყალმოსარგებლის უფლებები დაცულია კანონით და მისი ხელყოფის შემთხვევაში დარღვეული უფლება უნდა აღდგეს.

მუხლი 40. წყალმოსარგებლის უფლების შეზღუდვა

1. განსაკუთრებული მცირეწყლიანობის, წყლის ობიექტზე ავარიული სიტუაციის, ეპიდემიისა და ეპიზოტიის გაჩენის საშიშროების, სტიქიური უბედურების, სამხედრო მოქმედებების დროს და სხვა ექსტრემალურ ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, აგრეთვე სხვა წყალმოსარგებლეთა ინტერესების გამო.

2. წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეული სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებისას წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვა მოცემულია ამ კანონის IV თავში. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3. სპეციალური წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს იმ ორგანომ, რომელმაც გასცა ეს ობიექტი სპეციალურ სარგებლობაში. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

4. საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, თევზის დაცვისა და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით მმართველობის ადგილობრივი ორგანოები სამინისტროს და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების წარდგინებით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის აღება სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა.

(4. საერთო წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეიზღუდოს მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად, თევზის დასაცავად და სხვა თვალსაზრისით. ამ მიზნით სამინისტრო თვითმმართველი ერთეულის წარდგინებით განსაზღვრავს ადგილებს, სადაც აკრძალულია ბანაობა, ნავით სეირნობა, წყლის სასმელად და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის აღება, პირუტყვის დარწყულება, თევზჭერა და სხვა საქმიანობა. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

5. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ვალდებულია გამოაქვეყნოს მის მიერ დადგენილი საერთო წყალსარგებლობის შეზღუდვის პირობები. **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის (გარდა წყლის მავნე ზემოქმედების დროს) პროცედურა და წესი განისაზღვრება დებულებით "განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის შესახებ", რომელსაც შეიმუშავენ და სამინისტროსთან შეთანხმებით ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

მუხლი 41. წყალმოსარგებლის ვალდებულებანი

1. წყალმოსარგებლე ვალდებულია:

ა) ისარგებლოს წყლის ობიექტებით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებით და ფარგლებში;

ბ) უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად;

გ) არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლების შელახვა და სამეურნეო თუ ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ასეთი შემთხვევა მაინც მოხდა, წყალმოსარგებლე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი კანონით დადგენილი წესით;

დ) წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესოს მათი საექსპლუატაციო ხარისხი;

ე) აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით;

ვ) წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსების შესახებ და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის (მიწისქვეშა წყლების) წიაღის შესახებ ერთიან საინფორმაციო სახელმწიფო ფონდებს ნებისმიერი ინფორმაცია წყალსარგებლობის შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) უზრუნველყოს ჭაბურღილების შენარჩუნება ისეთ მდგომარეობაში, რომ შესაძლებელი გახდეს მათი მომავალში გამოყენება, გამოყენებისათვის უვარგისის ლიკვიდირება კი მოახდინოს დადგენილი წესით;

თ) დაუბრკოლებლად დაუშვას სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოების წარმომადგენლები თავის აღჭურვილობაზე, ნაგებობებზე და მოწყობილობებზე. პირველი მოთხოვნილებისამებრ მიაწოდოს საკონტროლო ორგანოებს ან მათ წარმომადგენლებს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია;

ი) განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები.

1. წყალმოსარგებლე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შენარჩუნებასა და აღდგენაზე;

ბ) არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლებების შელახვა და სამეურნეო და ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ეს მაინც მოხდა, წყალმოსარგებლე ვალდებულია, კანონით დადგენილი წესით აანაზღაუროს მიყენებული ზიანი;

გ) წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობები, რომლებიც გავლენას ახდენს წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესოს მათი საექსპლუატაციო ხარისხი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა;

ე) უზრუნველყოს ჭაბურღილების ისეთ მდგომარეობაში შენარჩუნება, რომ შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება; დადგენილი წესით მოახდინოს გამოყენებისათვის უვარგისი ჭაბურღილების ლიკვიდირება;

ვ) დაუბრკოლებლად დაუშვას სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანოთა წარმომადგენლები თავის აღჭურვილობასთან, ნაგებობებსა და მოწყობილობებთან; პირველივე

მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მაკონტროლებელ ორგანოებს ან მათ წარმომადგენლებს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი;

ზ) განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

2. წყალმოსარგებლე ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის დაცვის და გამოყენების სხვა მოთხოვნებიც.

მუხლი 42. წყალსარგებლობის ვადა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყლის ობიექტები გაიცემა უვადო, გრძელვადიან და მოკლევადიან სარგებლობაში.

2. უვადო სარგებლობაში გაიცემა წყლის ობიექტი ან მისი ნაწილები, რომელიც გამოიყენება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო ცენტრალიზებული წყალმომარაგებისათვის.

3. მოკლევადიანი სარგებლობა განისაზღვრება 5 წლამდე, ხოლო გრძელვადიანი 25 წლამდე ვადით.

4. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლის ჩაშვების ლიცენზია გაიცემა ხუთი წლის ვადით.

5. მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის ვადა განისაზღვრება "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონით.

6. საერთო წყალსარგებლობა ვადით არ იზღუდება.

7. წყალსარგებლობის ვადა აითვლება შესაბამისი ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

მუხლი 43. უარი წყალსარგებლობის უფლების გაცემაზე ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსარგებლობაზე ლიცენზია არ გაიცემა:

ა) თუ მის მიღებაზე განაცხადი შეტანილია დადგენილი მოთხოვნების დარღვევით;

ბ) თუ განმცხადებელმა თავის შესახებ წარმოადგინა არასწორი მონაცემები;

გ) თუ განმცხადებელს არ წარმოუდგენია ან არ შეუძლია წარმოადგინოს საბუთი, რომ მას აქვს ან ექნება აუცილებელი ფინანსური ან ტექნიკური შესაძლებლობა სამუშაოს უსაფრთხო და ეფექტიანი წარმოებისათვის;

დ) თუ განმცხადებელს არ წარმოუდგენია საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვა გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით;

ე) თუ წყალსარგებლობამ შეიძლება იმგვარი ზიანი მიაყენოს გარემოს, საზოგადოებრივ ან კერძო ინტერესებს და, განსაკუთრებით, მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებას, რომლის თავიდან აცილება ან კომპენსაცია შეუძლებელია;

ვ) ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზია არ გაიცემა, თუ მათი რაოდენობა და ხარისხობრივი მახასიათებლები არ აკმაყოფილებს გარემოსდაცვით და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს; (08.05.2003 N 2279)

ზ) თუ წყალმოსარგებლემ არ წარმოადგინა წყალსარგებლობის სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

მუხლი 44. წყალსარგებლობის უფლების ძალდაკარგულად მიჩნევა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყალსარგებლობის უფლება ძალადაკარგულად მიიჩნევა:

- ა) კონკურსის ან აუქციონის პირობების უხეში დარღვევისას;
- ბ) პრეტენდენტის მიერ ლიცენზიის გაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებზე უარის თქმისას;
- გ) საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევისას;
- დ) წყალსარგებლობის ლიცენზიის პირობების უკანონო ლიბერალიზაციისა და გადასახადის შემცირების მიზნით გარიგების ფაქტის დადგენისას;
- ე) რომელიმე პრეტენდენტისათვის უკანონო შეღავათების მინიჭებისას;
- ვ) გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევისას;
- ზ) სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და ნორმების დარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში;
- თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლების არსებობისას.

მუხლი 45. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის და შეჩერების საფუძვლები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსარგებლობის უფლება უნდა შეწყდეს, თუ:

- ა) წყალმოსარგებლე უარს ამბობს წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სარგებლობაზე;
- ბ) გავიდა წყალსარგებლობის ლიცენზიით განსაზღვრული ვადა;
- გ) გარდაიცვალა წყალმოსარგებლე - ფიზიკური პირი.

2. წყლის მომპოვებელი საწარმოს ხანგრძლივი დროით კონსერვაციისას ან კონსერვაციის პირობების დარღვევისას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წყლის ობიექტის დაზიანება, სამინისტროს შეუძლია გააუქმოს გაცემული ლიცენზია.

3. წყალსარგებლობა ვადაზე ადრე უნდა შეიზღუდოს, შეჩერდეს ან შეწყდეს:

- ა) თუ წყალმოსარგებლემ დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა ან ლიცენზიით განსაზღვრული პირობები;

ბ) თუ წყალსარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა მოქმედების ზონაში მომუშავე ან მცხოვრები ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნა უშუალო საფრთხე;

გ) თუ წყალმოსარგებლემ დაარღვია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წყლის დაცვისა და სარგებლობის, სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების, სანიტარიულ-ჰიგიენური წესები და ნორმები, აგრეთვე, გარემოს დაცვის სხვა წესები; დ) საგანგებო მდგომარეობის (სტიქიური უბედურება, სამხედრო მოქმედება და სხვა) შექმნის პირობებში;

ე) თუ მოსარგებლე არ შეუდგა წყალსარგებლობას ლიცენზიით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) იმ საწარმოს ლიკვიდირების შემთხვევაში, რომელზეც გაცემული იყო ლიცენზია.

4. წყალსარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მოსარგებლე სისტემატურად არღვევს წყლის დაცვისა და სარგებლობის წესებს, ლიმიტებს და სხვა მოთხოვნებს.

5. წყალსარგებლობა შეიძლება შეზღუდოს ან აკრძალოს საქართველოს პრეზიდენტმა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ეროვნული უშიშროების, ბუნებრივი გარემოს ან ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვის მიზნით.

მუხლი 46. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის და შეჩერების წესი ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, წყალსარგებლობა უნდა შეწყდეს დაუყოვნებლივ გადაწყვეტილების მიღებისთანავე და წყალმოსარგებლეს გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება.

2. 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა", "გ" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღება ერთი თვის გასვლიდან მას შემდეგ, რაც წყალმოსარგებლეს წერილობით შეატყობინებენ მის მიერ დაშვებული დარღვევებისა და ამ დარღვევების აღმოსაფხვრელ ღონისძიებათა გაუტარებლობის შესახებ.

3. 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში წყალსარგებლობა უნდა შეწყდეს ამ ქვეპუნქტში აღნიშნული პირობების წარმოშობისთანავე.

4. ამ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყალსარგებლობის შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ სამინისტრო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სამინისტრო ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო სამინისტროსთან შეთანხმებით, ხოლო „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მხოლოდ სამინისტრო. (8.05.2012. N6164)

5. წყალსარგებლობის უფლება შეიძლება ვადამდე ადრე შეწყდეს წყალმოსარგებლის ინიციატივით, რის შესახებაც წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს.

6. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის ან დროებით შეჩერებისას უნდა მოხდეს წყალამღები სისტემის ან ამ დანიშნულების ნაგებობის ლიკვიდაცია, სრული ან ნაწილობრივი კონსერვაცია.

7. სრული ან ნაწილობრივი ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს მიწისქვეშა ნაგებობები და ჭაბურღილები უნდა მოიყვანონ ისეთ მდგომარეობაში, რომ საფრთხე არ შეუქმნას მოსახლეობის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ბუნებრივ გარემოს, აგრეთვე არსებულ შენობებსა და ნაგებობებს. სრული ლიკვიდაციის დროს უნდა განხორციელდეს სარეკულტივაციო ღონისძიებები.

8. წყალამღები სისტემის ან ამ დანიშნულების ნაგებობის ლიკვიდაციის ან კონსერვაციის დროს გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური, სამარკშიდერო ან სხვა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავს სამუშაოთა დასრულების მომენტში არსებულ მდგომარეობას, გადაეცემა ზედაპირული წყლის შემთხვევაში - სამინისტროს, ხოლო მიწისქვეშა წყლების შემთხვევაში - საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტს.

9. წყალამღები სისტემის ან ამ დანიშნულების ნაგებობის ლიკვიდაცია ან კონსერვაცია დასრულებულად მიიჩნევა იმ მომენტიდან, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო ხელს მოაწერს სათანადო აქტს. (8.05.2012. N6164)

10. წყალსარგებლობის უფლების ვადამდე ადრე შეწყვეტის დროს საწარმოს ლიკვიდაცია ან კონსერვაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საწარმოს ლიკვიდაციის ან კონსერვაციის ხარჯები ეკისრება წყალმოსარგებლეს, თუ წყალსარგებლობა შეწყვეტილია 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ა", "ბ", "გ" და "ვ" ქვეპუნქტებში მოყვანილი მიზეზებით ან წყალმოსარგებლის ინიციატივით.

11. საწარმოს კონსერვაციისა და ლიკვიდაციის ხარჯებს კისრულობს სახელმწიფო, თუ წყალსარგებლობა შეწყდა 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზებით საწარმოს უდანაშაულობის შემთხვევაში, აგრეთვე ამავე მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტში მოყვანილი მიზეზით.

12. თუ აღმოიფხვრა წყალსარგებლობის უფლების შეჩერების ან შეზღუდვის გამომწვევი ვითარება და პირობები, ეს უფლება შეიძლება აღდგენილ იქნეს სრული მოცულობით. ამასთან, ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც წყალსარგებლობა შეჩერებული იყო, არ შევა ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში, თუ შეჩერება ან შეზღუდვა წყალმოსარგებლის მიზეზით არ იყო გამოწვეული.

13. თუ ლიცენზიის გაცემის შემდეგ აღმოჩნდა მიწისქვეშა წყლის თანმხლები ძვირფასი კომპონენტების ახალი სახეობანი, ან სხვაობა წყლის დამტკიცებულსა და რეალურად არსებულ მარაგს შორის, ან შეიცვალა წყალსარგებლობასთან დაკავშირებული სხვა პირობები, უნდა ჩატარდეს გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური მასალის სახელმწიფო ექსპერტიზა და გადაისინჯოს ლიცენზიის პირობები.

14. წყლის რეალიზებასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელს შეუძლია დროებით შეაჩეროს სამუშაო და დადგენილი დროით დააკონსერვოს წყლის მომპოვებელი საწარმო ან მოახდინოს მისი ლიკვიდაცია

სამინისტროს თანხმობით. ასეთ შემთხვევაში კონსერვაციის დრო შედის ლიცენზიის მოქმედების საერთო ვადაში.

15. წყალსარგებლობის უფლება წყდება ლიცენზიის გაუქმების გზით.

16. თუ წყალმოსარგებლე არ ეთანხმება წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის, შეჩერების ან შეზღუდვის გადაწყვეტილებას, მას შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება სასამართლოში.

17. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტა მოსარგებლეს არ ათავისუფლებს წყლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან.

18. წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის პროცედურა და წესი განისაზღვრება დებულებით "წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესის შესახებ", რომელსაც შეიმუშავენ და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 47. წყალსამეურნეო ღონისძიებათა გატარებით,

წყალსარგებლობის შეწყვეტით ან პირობების შეცვლით

მიყენებული ზიანის ანაზღაურება **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

წყალსამეურნეო ღონისძიებათა (ჰიდროტექნიკური სამუშაოები და სხვა) ჩატარებით, წყალსარგებლობის შეწყვეტით თუ პირობების შეცვლით, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 48. წყალსარგებლობის ლიცენზია **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. წყლით სპეციალური ფორმით სარგებლობა წარმოებს ლიცენზიის საფუძველზე.

2. ლიცენზია წყალსარგებლობის უფლების დამადასტურებელი ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.

3. ლიცენზია არის მიწის და სამთო მინაკუთვნის გამოყოფისა და სარგებლობაში გადაცემის ერთადერთი საფუძველი.

4. წყალსარგებლობის ლიცენზია ამტკიცებს წყალსარგებლობის პირობებსა და ფორმას, მათ შორის, კონცესიის პირობებს. იგი შეიძლება შეივსოს სხვა პირობებითაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობასა და ამ კანონს.

5. წყალსარგებლობის ლიცენზია გაიცემა საკუთრივ წყლით მოსარგებლეზე, რომელსაც ეკრძალება ლიცენზიის გასხვისება.

6. წყალსარგებლობის სახეობების შესაბამისად ლიცენზია გაიცემა:

ა) ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოსაღებად;

ბ) მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის (მოპოვება და შესწავლა);

გ) წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად;

დ) წყლის ობიექტებით სარგებლობისათვის წყლის ამოღების გარეშე;

ე) წყლის ობიექტიდან ნივთიერებების (წყალში გახსნილი და ა.შ.) ამოსაღებად;

ვ) საკურორტო და სპორტული მიზნისათვის;

ზ) წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დასაცურებლად;

თ) სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად;

ი) თევზის მეურნეობის შიგა წყალსატევებით წყლის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობისათვის.

7. წყალსარგებლობის ისეთი სახეობები, როგორცაა ზედაპირული წყლის დონის ან დინების ხელოვნური შეცვლა, სხვადასხვა დანიშნულების იმ ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლებიც გავლენას არ ახდენს ზედაპირული წყლის მდგომარეობაზე, თუ ეს არ არის დაკავშირებული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღებასთან, არ საჭიროებს წყალსარგებლობის ლიცენზიას და ექვემდებარება გარემოსდაცვითი ნებართვის აღებას "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

8. წყლის ობიექტიდან ნივთიერებების (წყალში გახსნილი და შეტივნარებული-კოლოიდური ნივთიერებების, დატბორილი მერქნის) ამოღება ხორციელდება ლიცენზიით, რომლის ფორმა, შინაარსი და გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით "წყლის ობიექტიდან ნივთიერებების (წყალში გახსნილი და შეტივნარებული-კოლოიდური ნივთიერებების, დატბორილი მერქნის) ამოღების ლიცენზიის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო.

9. მიწისქვეშა წყლებით სარგებლობისათვის და არამადნეული სასარგებლო წიაღისეულის, ტორფის, საპროპელის მოსაპოვებელი ლიცენზიის ფორმა, შინაარსი გაცემის პირობები და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით "წიაღის შესახებ".

10. საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიის ფორმა, შინაარსი და გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით "საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო. ლიცენზიის გაცემის პროცედურა განსაზღვრულია ამ კანონის 49-ე მუხლით.

11. წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დასაცურებად წყალსარგებლობის ლიცენზიის ფორმა, შინაარსი და გაცემის წესი განისაზღვრება დებულებით "წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დასაცურებლად წყალსარგებლობის ლიცენზიის შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო.

12. სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად და თევზის მეურნეობის შიგა წყალსატევებით სარგებლობისათვის (წყლის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში) ლიცენზიის ფორმა, შინაარსი, გაცემის პირობები და წესი განისაზღვრება "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონით.

13. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზია უნდა შეიცავდეს:

ა) წყალმოსარგებლის შესახებ მონაცემებს;

ბ) სარგებლობისათვის გადაცემული წყლის ობიექტის გეოგრაფიულ მდებარეობას და დასახელებას;

გ) გამოყოფილი მიწის ან სამთო მინაკუთვანის ზღვრულ ზომას და მონაცემებს სარგებლობისათვის გადასაცემი წყლის ობიექტის ან მისი ნაწილების ფართობის და საზღვრების შესახებ, საკონტურო წერტილების კოორდინატების მითითებით;

დ) მონაცემებს მიწის სარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ე) ლიცენზიის მოქმედების ვადას;

ვ) წყალსარგებლობის ლიმიტებს;

ზ) წყალსარგებლობის მიზანს;

თ) წყალსარგებლობის პირობებს;

ი) წყალსარგებლობის გადასახადის ოდენობას და გადახდის წესს.

14. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლისა და ნივთიერებების ამოღების ლიცენზიის მისაღები განაცხადის ფორმა და წარდგენის წესი დგინდება დებულებით ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლისა და ნივთიერებების ამოღების ლიცენზიის მიღებისათვის განაცხადის ფორმისა და წარდგენის წესის შესახებ, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

მუხლი 49. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის

ამოღების ლიცენზიის გაცემის წესი **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებულმა სუბიექტმა სამინისტროს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება:

ა) წყალსარგებლობის სახეობა და პარამეტრები;

ბ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მისამართი, მისი სამეურნეო ურთიერთობები საწარმოო და საფინანსო პარტნიორებთან;

გ) მონაცემები განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული (ხელმძღვანელების ან მფლობელების) პირის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ლიცენზიის მიღებისას;

დ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსური შესაძლებლობანი;

ე) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდული არიან, როგორც მენარდეები;

ვ) ინფორმაცია განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის განვლილი საქმიანობის შესახებ, იმ სახელმწიფოების ჩამოთვლით, სადაც იგი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე საქმიანობდა;

ზ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის წინადადებანი წყალსარგებლობის პირობების შესახებ, დაგეგმილი საქმიანობის მოკლე ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება;

თ) წყლის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები;

ი) საერთო ცნობები მოთხოვნილი წყლის ობიექტის და მისი აუზის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი,

განაშენიანება, სასოფლო-სამეურნეო და ტყის სავარგულების დახასიათება და სხვა) და ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათება;

კ) მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა მიწით სარგებლობის პირობების შესახებ;

ლ) დასაბუთებული მონაცემები სანიტარიული დაცვის ზონების საზღვრებისა და მოწყობის შესახებ (სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის).

2. თუ ზედაპირული წყლის ობიექტის ან მისი ნაწილით სარგებლობაზე პრეტენზია განაცხადა რამდენიმე სუბიექტმა და ამ ობიექტის ფარგლებში მათი საქმიანობის შეთავსება შეუძლებელია, მაშინ ლიცენზია გაიცემა კონკურსისა და აუქციონის წესით, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დაცვით.

3. საკონკურსო სისტემის დროს გამარჯვებულად მიიჩნევა ის განმცხადებელი, რომელიც უპასუხებს კონკურსის პირობებს და წარმოადგენს წყლის დაცვის მოთხოვნათა შესაბამის ეკონომიკურად მისაღებ და ყველაზე მეტად გამართლებულ ტექნიკურ გადაწყვეტას.

4. საკონკურსო სისტემის დროს უპირატესობა ენიჭება განაცხადს, რომელიც ითვალისწინებს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებას.

5. კონკურსი მიიჩნევა ჩაშლილად, თუ არც ერთი პრეტენდენტი არ უპასუხებს წაყენებულ პირობებს. კონკურსის მონაწილეებს გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდებათ.

6. ლიცენზიის მიღების სააუქციონო სისტემის დროს გამარჯვებულად მიიჩნევა ის პრეტენდენტი, რომელიც უპასუხებს აუქციონის პირობებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს წყალსარგებლობის ლიცენზიის მისაღებად.

7. აუქციონი იმართება იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტები თანაბრად აკმაყოფილებენ კონკურსის პირობებს.

8. თუ მოსალოდნელია, რომ წყალსარგებლობა ზიანს მიაყენებს სხვა დაინტერესებულ პირებს, მაშინ ლიცენზია გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანი იქნება თავიდან აცილებული ან კომპენსირებული.

9. დებულებას „წყლითსარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით კონკურსისა და აუქციონის ჩატარების წესის შესახებ“ ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი. (16.09.2004 N 445)

10. ლიცენზია მოქმედებს მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

11. სამინისტრო ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებული სუბიექტის განცხადებას თანდართული დოკუმენტებით ჰიგიენური დასკვნისათვის გადასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. (08.05.2003 N 2279)

მუხლი 50. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის

ამოღების ლიცენზიის ფორმა **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზია არის 1/4 ფორმატის შუაზე გაკეცილი სპეციალური ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ქალაქი მისი ყალბად დამზადებისაგან დაცვის უზრუნველყოფის სათანადო ნიშნებით. მის პირველ

გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი, გერბის ქვეშ თანმიმდევრობით გაკეთებულია წარწერები: "საქართველო", "ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზია".

2. ლიცენზიას აქვს შემდეგი ფორმა:

სახელმწიფო გერბი

საქართველო

ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიცენზია

სერია "----" ნომერი "-----" ტიპი "----"

ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების
თარიღი ----- წლის "-----" -----"

გაცემულია -----
ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება, ვისზედაც გაიცა ლიცენზია,

მონაცემები მის შესახებ (მისამართი, საფოსტო კოდი, ტელეფონის ნომრები და სხვა).

წყალსარგებლობის სახეობის და ძირითადი მიზნების აღნიშვნა

----- მიზნით -----

წყლის ობიექტის ადგილმდებარეობის - ქალაქის, რაიონის,

სოფლის დასახელება

-----ტერიტორიაზე და ადასტურებს მისი მფლობელის წყლის ობიექტით სარგებლობის უფლებას ლიცენზიაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ NN -----
----- წერტილზე გამავალი კონტურის შიგნით. აღნიშნული წერტილების კოორდინატების ცხრილი წარმოდგენილია ლიცენზიის თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

წყალსარგებლობისათვის -----
წყლის ობიექტის დასახელება, სარგებლობის მიზნის

----- საქართველოს -----

მინიშნებით

-----19---- წლის "-----" "-----" ----- გადაწყვეტილებით

გამოყოფილია----- ჰექტარი მიწის

(სიტყვიერად)

მინაკუთვნი, ამ მინაკუთვნის საზღვრები აღნიშნულია ლიცენზიაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. ამ ლიცენზიით განსაზღვრული წყალსარგებლობასთან დაკავშირებული მიწის მინაკუთვნის ფართობი შეადგენს ----- ჰექტარს.

ამ ლიცენზიის მოქმედების ვადა: დაწყების თარიღი -----

(სიტყვიერად)

დამთავრების თარიღი -----

(სიტყვიერად)

ლიცენზია გაცემულია ----- წლით.

წყალსარგებლობის პირობები:

წყალსარგებლობის სამუშაოთა წარმოებაში -----

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური

----- პარტნიორები არიან

ან იურიდიული პირის დასახელება

პარტნიორის დასახელება

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება

----- ს წარმოდგენილი პირობის

შესაბამისად ამ ლიცენზიით დადგენილი აქვს:

წყლის ობიექტიდან წყლის ამოღების ლიმიტი წლის თვეების მიხედვით:

მინიმალური: მაქსიმალური:

იანვარი-----კუბური მეტრი

თებერვალი-----კუბური მეტრი

მარტი-----კუბური მეტრი
აპრილი-----კუბური მეტრი
მაისი-----კუბური მეტრი და ა. შ.
-----კუბური მეტრი

წყლის ამოღების ლიმიტი წლის განმავლობაში-----კუბური მეტრი

წყალსარგებლობისათვის -----ლიცენზიის მიმღები
ფიზიკური ან იურიდიული პირის

-----ს ეკისრება გადასახადი
დასახელება

-----სახელმწიფო ბიუჯეტში. წყალსარგებლობისათვის
გადასახადის ნორმატივი

გადასახადის შეტანა სახელმწიფო ბიუჯეტში ხდება -----

პერიოდი

ვალდებულია: წყალმოსარგებლის დასახელება

ისარგებლოს წყლის ობიექტებით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული
მიზნებისათვის და ფარგლებში;

უზრუნველყოს წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის
შესანარჩუნებლად და აღსადგენად;

არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლებების დარღვევა და სამეურნეო თუ
ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ასეთი შემთხვევა მაინც მოხდა,
წყალმოსარგებლე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი კანონით დადგენილი
წესით;

წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობანი,
რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესოს მათი
საექსპლუატაციო ხარისხი;

აწარმოოს წყალსარგებლობის აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით;

წარუდგინოს სამინისტროს ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო
სახელმწიფო ფონდებს ნებისმიერი ინფორმაცია წყალსარგებლობის შესახებ საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დაუბრკოლებლად დაუშვას სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილი
ორგანოები თავის აღჭურვილობაზე, ნაგებობებსა და მოწყობილობებზე. მოთხოვნისთანავე
მიაწოდოს საკონტროლო ორგანოებს ან მათ წარმომადგენლებს ყველა საჭირო ინფორმაცია
და დოკუმენტაცია.

განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები.

წყალმოსარგებლე ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის დაცვისა და გამოყენების სხვა მოთხოვნებიც.

ლიცენზიის დამატებითი პირობები
ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო
ორგანოს ხელმძღვანელი ამ
უფლებამოსილი წარმომადგენელი

გავეცანი ლიცენზიის
პირობებს და ვკისრულობ
შევასრულო

ხელმოწერა

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური
ან იურიდიული პირის ხელმოწერა

" ბ. ა. "

ბ. ა. "

ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ფიზიკურ ან იურიდიულ (მათ ხელმძღვანელებს) პირს ეკისრება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვაგვარი პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 51. ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლის ჩაშვების ლიცენზიის გაცემის წესი **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

1. ზედაპირული წყლის ობიექტით სარგებლობა სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩასაშვებად დაიშვება მხოლოდ სამინისტროს მიერ დამტკიცებული წყლის კომპლექსური გამოყენების და დაცვის სქემებისა და წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე გაცემული წყალსარგებლობის ლიცენზიით.

2. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზია გიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს წყალში გამაბინძურებელ ნივთიერებათა შემცველობის გაზრდას და თუ წყალმოსარგებლე ჩამდინარე წყლებს გაწმენდს იმ დონემდე, რომელიც დააკმაყოფილებს გარემოსდაცვით და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. (08.05.2003 N 2279)

3. აკრძალულია მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების და სამკურნალო დანიშნულების წყლის ობიექტებში სამრეწველო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სადრენაჟო და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვება.

4. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებულმა სუბიექტმა ლიცენზიის გამცემ ორგანოს უნდა მიმართოს განცხადებით, რომელშიც აღინიშნება:

ა) ამ ფიზიკური ან იურიდიული პირის მისამართი;

ბ) მონაცემები განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული (წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახით) პირის შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ამ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ლიცენზიის მიღებისას;

გ) მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების ლიმიტის პროექტი (ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლისათვის მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების (ემისიის) დროებითი ნორმების პროექტი) და წყალსარგებლობის პარამეტრები (ჩასაშვებად სავარაუდო ჩამდინარე წყლების რაოდენობა და შემადგენლობა ჩაშვების წერტილების, წლების და კვარტალების მიხედვით);

დ) ჩამდინარე წყლების გაწმენდის ტექნოლოგია და მეთოდი;

ე) გამწმენდი ნაგებობების მდგომარეობა და სრული ტექნიკური აღწერილობა;

ვ) ჩამდინარე წყლების ჩაშვების ადგილმდებარეობა;

ზ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ფინანსური შესაძლებლობანი;

თ) განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობანი, აგრეთვე იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის შესაძლებლობანი, რომლებიც მიზიდულნი არიან, როგორც მენარდეები (მშენებარე ან რეკონსტრუქციაში მყოფი ობიექტებისათვის);

ი) ინფორმაცია განმცხადებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის საქმიანობის შესახებ, ტექნოლოგიური პროცესის დეტალური აღწერით;

კ) უახლოესი დასახლებული პუნქტის ზემოთ (დინების საწინააღმდეგოდ) ერთი კილომეტრის მანძილზე წყლის ობიექტის წყლებთან გაწმენდილი ჩამდინარე წყლების შერევის გაანგარიშება;

ლ) წყლის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ფლობის სამართლებრივი ასპექტები;

მ) საერთო ცნობები მოთხოვნილი წყლის ობიექტის და მისი აუზის შესახებ (გეოგრაფიული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდებარეობა, ფართობი, განაშენიანება, სამრეწველო და სხვა ობიექტები, ჰიდროლოგიური და ჰიდროქიმიური რეჟიმი, სასოფლოსამეურნეო და ტყის სავარგულების დახასიათება და სხვა) და ეკოლოგიური მდგომარეობის დახასიათება;

ნ) მიწის მესაკუთრის წინასწარი თანხმობა მიწით სარგებლობის პირობების შესახებ.

5. თუ ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე პრეტენზია განაცხადა რამდენიმე სუბიექტმა და შეუძლებელია მათი საქმიანობის ამ ობიექტის ფარგლებში შეთავსება, მაშინ ლიცენზია გაიცემა კონკურსისა და აუქციონის წესით, ამ კანონის 49-ე მუხლის თანახმად.

6. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიის გაცემაზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადას, წესსა და პირობებს განსაზღვრავს დებულება "წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიის გაცემაზე კონკურსის და აუქციონის ჩატარების ვადის, წესისა და პირობების შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო.

7. ლიცენზია ძალაში შედის მისი სახელმწიფო რეგისტრაციის დღიდან.

8. სამინისტრო ლიცენზიის მოპოვებით დაინტერესებული სუბიექტის განცხადებას თანდართული დოკუმენტებით ჰიგიენური დასკვნისათვის გადასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. (08.05.2003 N 2279)

მუხლი 52. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიის ფორმა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზია არის 1/4 ფორმატის შუაზე გაკვეცილი სპეციალური ხარისხის სახელმწიფო ნიშნის ქალაქი მისი ყალბად დამზადებისაგან დაცვის უზრუნველყოფის სათანადო ნიშნებით. მის პირველ გვერდზე გამოსახულია საქართველოს სახელმწიფო გერბი. გერბის ქვეშ თანამიმდევრობით გაკეთებულია წარწერები: "საქართველო", "ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზია".

2. ლიცენზიას აქვს შემდეგი ფორმა:

სახელმწიფო გერბი

საქართველო

ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზია

სერია "" ნომერი "" ტიპი ""

ლიცენზიის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარების თარიღი----- წლის "-----" -----"

გაცემულია -----
ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება, ვისზედაც გაიცა ლიცენზია,

მონაცემები მის შესახებ (მისამართი, საფოსტო კოდი, ტელეფონის ნომრები და სხვა)

და წყალსარგებლობის ძირითადი მიზნების აღნიშვნა

----- მიზნით

წყლის ობიექტის ადგილმდებარეობის - ქალაქის,

რაიონის, სოფლის დასახელება

-----ტერიტორიაზე
და ადასტურებს მისი მფლობელის უფლებას წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლების ჩაშვების ლიცენზიაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილ NN -----
-----წერტილებში. აღნიშნული წერტილების
კოორდინატების ცხრილი წარმოდგენილია ლიცენზიაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე. წყალსარგებლობისათვის -----

წყლის ობიექტის დასახელება, სარგებლობის

მიზნის

-----საქართველოს -----
მინიშნებით

-----19---- წლის "-----" ----- გადაწყვეტილებით
გამოყოფილია ----- ჰექტარი მიწის მინაკუთვნი, ამ მინაკუთვნის

საზღვრები დატანილია ლიცენზიაზე თანდართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე.

ამ ლიცენზიის მოქმედების ვადა: დაწყების თარიღი -----
(სიტყვიერად)

დამთავრების თარიღი -----
(სიტყვიერად)

ლიცენზია გაცემულია ----- წლით.

წყალსარგებლობის პირობები:

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირის დასახელება

-----ს წარმოდგენილი პირობის
შესაბამისად ამ ლიცენზიით დადგენილი აქვს:

ჩამდინარე წყლების მოცულობა არა უმეტეს, წერტილების მიხედვით:

- 1.----- მ3//დღ. (ათ.მ3//წელ.)
- 2.----- მ3//დღ. (ათ.მ3//წელ.)
- 3.----- მ3//დღ. (ათ.მ3//წელ.)
- 4.----- მ3//დღ. (ათ.მ3//წელ.)

მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების (ემისიის) ზღვრულად დასაშვები ნორმები ჩაშვების
წერტილების მიხედვით:

----- ინგრედიენტი
(მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია მგ/ლ -----
დასახელება) გ/სთ ტ/წელ

- 1.
- 2.
- 3.
- 4.

- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.
-

ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ტიპი დაწარმოება-----

წყალსარგებლობისათვის -----

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირის

-----ს დაუმტკიცდა ლიცენზიის მოქმედების

ვადის პირველი წლისათვის მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების (ემისიის) დროებითი ნორმები (ლიმიტები) და ეკისრება გადასახადი:

(მავნე ნივთიერებათა დასახელება)	ლარი/ტონა	მათ შორის კვარტლე-	ინგრედიენტი	გადასახადი
		I II III		
			სულ წელიწადში	

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.
- 9.
- 10.
-

სულ გადასახადის რაოდენობა -----არი ლიცენზიის

(სიტყვიერად)

მოქმედების ვადის პირველი წლისათვის.

ლიცენზიის მოქმედების ვადის მომდევნო წლებისათვის მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების (ემისიის) დროებითი ნორმები (ლიმიტები) მტკიცდება თითოეული მომდევნო წლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გადასახადის გადახდა წარმოებს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

ვალდებულია:

წყალმოსარგებლის დასახელება

ისარგებლოს წყლის ობიექტებით მხოლოდ ლიცენზიით განსაზღვრული მიზნებისათვის და ფარგლებში;

იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად;

არ დაუშვას სხვა წყალმოსარგებლეთა უფლებების დარღვევა და სამეურნეო თუ ბუნებრივი ობიექტებისათვის ზიანის მიყენება; თუ ასეთი შემთხვევა მაინც მოხდა, წყალმოსარგებლე ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი კანონით დადგენილი წესით;

წესრიგში იქონიოს გამწმენდი და სხვა ნაგებობები, ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე, გააუმჯობესოს მათი საექსპლუატაციო ხარისხი;

აწარმოოს ჩამდინარე წყლის რაოდენობისა და ხარისხის აღრიცხვა კანონით დადგენილი წესით;

წარუდგინოს სამინისტროს და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებს ნებისმიერი ინფორმაცია წყალსარგებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დაუბრკოლებლად დაუშვას სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები თავის აღჭურვილობაზე, ნაგებობებსა და მოწყობილობებზე. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საკონტროლო ორგანოებს ან მათ წარმომადგენლებს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

განუხრელად დაიცვას სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოების წესები.

წყალმოსარგებლე ვალდებულია შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წყლის დაცვის და გამოყენების სხვა მოთხოვნებიც.

ლიცენზიის დამატებითი პირობები-----

ლიცენზიის გამცემი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი ან უფლებამოსილი წარმომადგენელი

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და ვკისრულობ შევასრულო

ხელმოწერა

ლიცენზიის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირის ხელმოწერა

|_| ბ. ა.

ბ. ა. |_|

ზემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ფიზიკურ ან იურიდიულ (მათ ხელმძღვანელებს) პირს ეკისრება სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სხვაგვარი პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 53. სპეციალურ სარგებლობაში გადაცემული
წყლის ობიექტით სარგებლობის პირობები
სარგებლობის ძირითადი მიზნების მიხედვით

1. მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს გაბინძურებისაგან და დანაგვიანებისაგან საიმედოდ დაცული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელთა ხარისხი ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს;

ბ) სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის გამოსაყენებული წყლის ობიექტი უნდა შეირჩეს მისი საიმედოობისა და სანიტარიული დაცვის ზონის ორგანიზების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

გ) სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლების გამოყენება საწარმოო მიზნით დასაშვებია მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც წარმოების ტექნოლოგია, არსებული სანიტარიული ნორმებისა და სტანდარტებისაგან გამომდინარე, მოითხოვს სასმელი ხარისხის წყალს;

დ) რაიონებში, სადაც არ მოიპოვება სათანადო რაოდენობის ზედაპირული, მაგრამ არსებობს სასმელად ვარგისი საკმარისი რაოდენობის მიწისქვეშა წყლები, სამინისტრომ, როგორც გამონაკლისი, შეიძლება ნება დართოს არასასმელი და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალმომარაგებისათვის მიწისქვეშა წყლების გასამოყენებლად, მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე;

ე) სახელმწიფო წყალსადენიდან საწარმოო დანიშნულებით სასმელი წყლის გამოყენება დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში, მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას;

ვ) სტიქიური უბედურების, ეკოლოგიური კატასტროფის და სხვა ექსტრემალური სიტუაციისას, მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხორციელდება გაბინძურებისაგან საიმედოდ დაცულ მიწისქვეშა ან ზედაპირული წყლების ბაზაზე შექმნილი წყალმომარაგების სარეზერვო წყლის ობიექტებიდან, რომელთა ნუსხას ადგენს და ამტკიცებს სამინისტრო საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით. ამ ობიექტების დაცვა და გამოყენება ხორციელდება იმავე წესით, რომელიც დადგენილია სასმელად და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის გამოყენებული წყლის ობიექტებისათვის;

ზ) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წყლის ობიექტის დაცვისა და გამოყენების წესები განისაზღვრება დებულებით "მოსახლეობის

სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების წესების შესახებ", რომელსაც ერთობლივი ბრძანებით ამტკიცებენ სამინისტრო და საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო.

2. წყლის ობიექტების სამკურნალო, საკურორტო და სპორტული მიზნებისათვის სარგებლობისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) სამკურნალო კატეგორიისათვის დადგენილი წესით მიკუთვნებული წყლის ობიექტები გამოიყენება სამკურნალოდ, საკურორტო და წყლის (სამკურნალო ბუნებრივი მინერალური წყლის) სასაქონლო პროდუქციის წარმოების მიზნით. გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, სამინისტროს შეუძლია, სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის და სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმებით, ნება დართოს სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტების სხვა მიზნებისათვის გამოსაყენებლად;

ბ) სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება ბრძანებით "სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე", რომელსაც სამინისტროსთან შეთანხმებით ადგენს და ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. ამ ობიექტებით სარგებლობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

გ) დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა ფიზიკური პირებისათვის დაიშვება საერთო სარგებლობის ფორმით;

დ) მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტები გამოიყენება იმ ადგილებში, რომლებსაც ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები სამინისტროსა და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით, ხოლო სანაოსნო გზებზე - ნაოსნობის მომწესრიგებელ ორგანოებთან შეთანხმებით;

ე) საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტები მთლიანად ან ნაწილობრივ შეიძლება გადაეცეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს სპეციალურ სარგებლობაში, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული წესით;

ვ) მცირე ზომის ხომალდებით (ნიჩბიანი ნავით, იალქნიანი იახტით და სხვა) სანაოსნოდ წყლის ობიექტებით სარგებლობა დასაშვებია საერთო სარგებლობის ფორმით, მცირე მოცულობის ხომალდებით სარგებლობის დამტკიცებული წესების დაცვით;

ზ) სპეციალურ სარგებლობაში გადაცემულ წყლის ობიექტებზე მცირე ზომის ხომალდებით ნაოსნობა დაიშვება ლიცენზიის მფლობელის თანხმობით.

3. სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წყლის ობიექტით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის, ვალდებული არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, მიიღონ ზომები სამელიორაციო სისტემებიდან წყლის ფილტრაციითა და აორთქლებით დანაკარგების შესამცირებლად, მათგან წყლის არარაციონალური გადაგდების თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვან თევზსამეურნეო წყალსატევებიდან თევზის მოხვედრა სამელიორაციო სისტემებში, აგრეთვე უნდა შექმნან ნიადაგის ტენიანობისათვის ხელსაყრელი რეჟიმი;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირები, საქონლის გადარეკვისას, ვალდებული არიან დაიცვან საქონლის გადასარეკ ტრასებზე განლაგებული წყალმომარაგების წყაროები გაბინძურებისა და დაშრეტისაგან, წყალსამეურნეო ნაგებობები და მოწყობილობები დაზიანებისაგან;

გ) აკრძალულია საქონლის გადარეკვა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გავლა არხებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებზე იმ ადგილებში, რომლებიც სპეციალურად ამ დანიშნულებისათვის არ არის განკუთვნილი;

დ) საქონლის გადარეკვა, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გავლა არხებსა და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებზე დაშვებულია იმ ადგილებში, რომლებსაც ადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები სამინისტროსა და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით;

ე) სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვა ჩამდინარე წყლებით დასაშვებია სამინისტროს ნებართვით სახელმწიფო სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით;

ვ) მეცხოველეობის ფერმები, კომპლექსები და სხვა აგროსამრეწველო საწარმოები წყლის ობიექტებისა და წყალშემკრები აუზების გაბინძურებისაგან დასაცავად უნდა აღიჭურვონ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით;

ზ) ამ პუნქტის "ა" და "ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დებულებანი ვრცელდება აგრეთვე ტყის, ტყის ზოლებისა და ტყის სანერგეების მიწების მორწყვასა და დაშრობაზე;

თ) ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესს თითოეული წყალსაცავის, კასკადის ან წყალსაცავების სისტემისათვის შეიმუშავებს და სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან და სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო ბრძანებით "ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე";

4. სამრეწველო მიზნით და ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) წყალმოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სამრეწველო მიზნით, ვალდებული არიან დაიცვან ტექნოლოგიური ნორმები და წყალსარგებლობის წესები, აგრეთვე მიიღონ ზომები წყლის ხარჯის შესამცირებლად და ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესაწყვეტად წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, ბრუნვითი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით);

ბ) მიწისქვეშა წყალი, რომელიც არ განეკუთვნება სასმელი ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მისი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების ამოსაღებად, თბოენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებისათვის, წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

გ) წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებისათვის ხორციელდება წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით და სხვა დარგთა ინტერესების გათვალისწინებით;

დ) ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევენ წყალსაცავების ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ვალდებული არიან უზრუნველყონ წყალსაცავის ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავის მოქმედების ზონაში მყოფ წყლით და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით;

ე) ექსპლუატაციის წესს თითოეული ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავის, კასკადის ან წყალსაცავების სისტემისათვის შეიმუშავებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოებთან და სამინისტროსთან შეთანხმებით და ამტკიცებს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ბრძანებით "ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე";

ვ) იგივე დებულებები ვრცელდება აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და წყლის სხვა ობიექტების ექსპლუატაციისას.

5. წყლის ტრანსპორტის, საჰაერო ტრანსპორტის და ხე-ტყის დაცურების საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობისას დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, საქართველოს ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა წარმოადგენენ საერთო სარგებლობის სანაოსნო გზებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მათი ამ მიზნებისათვის გამოყენება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია ან ისინი გადაცემულია სპეციალურ სარგებლობაში;

ბ) წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დაცურება დაიშვება სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიით, რომელიც გაიცემა ამ კანონის 48-ე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული წესით;

გ) წყალსავალი გზებისათვის სანაოსნო და ხე - ტყის დასაცურებლის კატეგორიის მიკუთვნების წესი, აგრეთვე წყალსავალი გზების აღნიშნული მიზნებისათვის ექსპლუატაციის წესები განისაზღვრება დებულებით "წყალსავალი გზებისათვის სანაოსნო და ხე-ტყის დასაცურებლის კატეგორიის მიკუთვნების და ამ მიზნებისათვის წყალსავალი გზების ექსპლუატაციის წესების შესახებ", რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო;

დ) საჰაერო ხომალდების სადგომად, ასაფრენ-დასაჯდომად, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტის სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. თევზის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) წყლის ობიექტებში ან მათ ცალკეულ უბნებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშის თევზის, აგრეთვე წყლის ცხოველთა სამყაროს სხვა ობიექტების და მცენარეების შენარჩუნებისა და აღწარმოებისათვის, წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეზღუდულ იქნეს თევზის მეურნეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) ასეთი წყლის ობიექტების ან მათი უბნების ნუსხა და წყალსარგებლობის შეზღუდვის სახეობები განისაზღვრება დებულებით "თევზის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტების, მათი ცალკეული უბნების ნუსხისა და მათ ფარგლებში წყალსარგებლობის შეზღუდვის შესახებ", რომელსაც შემომუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო;

გ) ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლუატაციისას თევზსამეურნეო წყალსატევებში დროულად უნდა ხორციელდებოდეს თევზის მარაგის დაცვისა და მისი აღწარმოების პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები;

დ) თევზის მეურნეობის შიდა წყალსატევებით სარგებლობა (წყლის ცხოველთა სამყაროს ობიექტებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში) დაიშვება სპეციალური წყალსარგებლობის ფორმით, ლიცენზიით, რომელიც გაიცემა ამ კანონის 48-ე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული წესით.

მუხლი 53. სპეციალური წყალსარგებლობის ძირითადი მიზნები და პირობები (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება:

ა) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგების მიზნებისათვის;

ბ) სამკურნალო, საკურორტო და სპორტული მიზნებისათვის;

გ) სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის;

დ) სამრეწველო და ჰიდროენერგეტიკული მიზნებისათვის;

ე) წყლის ტრანსპორტის, საჰაერო ტრანსპორტისა და ხე-ტყის დაცურების მიზნებისათვის;

ვ) თევზის მეურნეობის მიზნებისათვის.

2. მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს გაბინძურებისა და დანაგვიანებისაგან საიმედოდ დაცული ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები, რომელთა ხარისხი ბუნებრივ მდგომარეობაში ან სათანადო დამუშავების შემდეგ შეესაბამება საქართველოს სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ ნორმებს;

ბ) მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის წყლის ობიექტი უნდა შეირჩეს მისი საიმედოობისა და სანიტარიული დაცვის ზონის ორგანიზების რეალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;

გ) სასმელად ვარგისი მიწისქვეშა წყლების საწარმოო მიზნით გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოების ტექნოლოგია, არსებული სანიტარიული ნორმებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე, მოითხოვს სასმელი ხარისხის წყალს;

დ) სახელმწიფო წყალსადენიდან სასმელი წყლის საწარმოო დანიშნულებით გამოყენება დასაშვებია გამონაკლის შემთხვევაში, მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს მოსახლეობის სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას.

3. სამკურნალო, საკურორტო და სპორტული მიზნებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) სამკურნალო კატეგორიისათვის დადგენილი წესით მიკუთვნებული წყლის ობიექტი გამოიყენება სამკურნალოდ, საკურორტო მიზნით და წყლის (სამკურნალო ბუნებრივი მინერალური წყლის) სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის;

ბ) სამკურნალო კატეგორიისათვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხა განისაზღვრება ბრძანებით „სამკურნალო კატეგორიისათვის მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სამინისტროსთან შეთანხმებით. ამ ობიექტებით სარგებლობის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით;

გ) დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტით სარგებლობა ფიზიკური პირებისათვის დაიშვება საერთო სარგებლობის ფორმით;

დ) მასობრივი დასვენებისა და სპორტისათვის წყლის ობიექტი გამოიყენება იმ ადგილებში, რომლებსაც ადგენენ თვითმმართველი ერთეულები;

ე) მცირე ზომის ხომალდით (ნიჩბიანი ნავი, იალქნიანი იახტა და სხვა) სანაოსნოდ წყლის ობიექტით სარგებლობა დასაშვებია საერთო სარგებლობის ფორმით, მცირე მოცულობის ხომალდებით სარგებლობის დამტკიცებული წესების დაცვით.

4. სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც წყლის ობიექტით სასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის სარგებლობენ, ვალდებული არიან, დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, მიიღონ ზომები სამელიორაციო სისტემებიდან წყლის ფილტრაციითა და აორთქლებით დანაკარგების შესამცირებლად, მათგან წყლის არარაციონალური გადაგდების თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვან თევზის თევზსამეურნეო წყალსატევებიდან სამელიორაციო სისტემებში მოხვედრა, აგრეთვე შექმნან ნიადაგის ტენიანობისათვის ხელსაყრელი რეჟიმი;

ბ) ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქონლის გადარეკვისას დაიცვან საქონლის გადასარეკ ტრასებზე განლაგებული წყალმომარაგების წყაროები გაბინძურებისა და დაშრეტისაგან, ხოლო წყალსამეურნეო ნაგებობები და მოწყობილობები – დაზიანებისაგან;

გ) მეცხოველეობის ფერმები, კომპლექსები და სხვა აგროსამრეწველო საწარმოები წყლის ობიექტებისა და წყალშემკრები აუზების გაბინძურებისაგან დასაცავად უნდა აღიჭურვოს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობებით;

დ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დებულებები ვრცელდება აგრეთვე ტყის, ტყის ზოლებისა და ტყის სანერგეების მიწების მორწყვასა და დაშრობაზე;

ე) ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესს თითოეული წყალსაცავისათვის, კასკადისათვის ან წყალსაცავების სისტემისათვის შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბრძანებით „ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“.

5. სამრეწველო მიზნით და ჰიდროენერგეტიკული საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) წყალმოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტით სამრეწველო მიზნით სარგებლობენ, ვალდებული არიან, დაიცვან ტექნოლოგიური ნორმები და წყალსარგებლობის წესები, მიიღონ ზომები წყლის ხარჯის შესამცირებლად და ჩამდინარე წყლების ჩაშვების შესაწყვეტად წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის გზით (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, ბრუნვითი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით);

ბ) მიწისქვეშა წყალი, რომელიც არ განეკუთვნება სასმელი ან სამკურნალო წყლების კატეგორიას, შეიძლება დადგენილი წესით გამოყენებულ იქნეს ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მისი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების ამოსაღებად, თბოენერჯის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებისათვის, წყლის რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნათა გათვალისწინებით;

გ) წყლის ობიექტით ჰიდროენერგეტიკული საჭიროებისათვის სარგებლობა ხორციელდება წყლის კომპლექსური გამოყენების მოთხოვნათა დაცვით და სხვა დარგთა ინტერესების გათვალისწინებით;

დ) ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ექსპლუატაციას უწყვენ წყალსაცავების ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს, ვალდებული არიან, უზრუნველყონ წყალსაცავის ავსებისა და დაცლის რეჟიმი, რომელიც დადგენილია წყალსაცავის მოქმედების ზონაში მყოფ წყლითა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესების გათვალისწინებით;

ე) ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესს თითოეული წყალსაცავისათვის, კასკადისათვის ან წყალსაცავების სისტემისათვის შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ბრძანებით „ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“;

ვ) ამ პუნქტის დებულებები ვრცელდება აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და წყლის სხვა ობიექტების ექსპლუატაციაზე.

6. წყლის ტრანსპორტის, საჰაერო ტრანსპორტისა და ხე-ტყის დაცურების საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, საქართველოს ტერიტორიული წყლები და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა საერთო სარგებლობის სანაოსნო გზებია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათი ამ მიზნებისათვის გამოყენება მთლიანად ან ნაწილობრივ აკრძალულია;

ბ) საჰაერო ხომალდების სადგომად, აფრენა-დაჯდომისათვის, აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტის სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტების გამოყენების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

7. თევზის მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის ობიექტით სარგებლობის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

ა) წყლის ობიექტში ან მის ცალკეულ უბნებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძვირფასი ჯიშის თევზის, წყლის ცხოველთა სამყაროს სხვა

ობიექტებისა და მცენარეების შენარჩუნებისა და აღწარმოებისათვის, წყალმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება შეიზღუდოს თევზის მეურნეობის ინტერესების შესაბამისად;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წყლის ობიექტებისა და მათი ცალკეული უბნების ნუსხა და წყალსარგებლობის შეზღუდვის სახეობები განისაზღვრება დებულებით „თევზის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტების, მათი ცალკეული უბნების ნუსხისა და მათ ფარგლებში წყალსარგებლობის შეზღუდვის შესახებ“, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო;

გ) ჰიდროტექნიკურ და სხვა ნაგებობათა ექსპლუატაციისას თევზსამეურნეო წყალსატევებში დროულად უნდა ხორციელდებოდეს თევზის მარაგის დაცვის და მისი აღწარმოების პირობების უზრუნველყოფის ღონისძიებები.)

მუხლი 54. წყალსარგებლობა საქართველოს ტრანსსასაზღვრო წყლებში

1. საქართველოს ტრანსსასაზღვრო წყლის ობიექტებზე წყალსარგებლობა ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე.

2. წყალსარგებლობა, თუ იგი ტრანსსასაზღვრო წყლების საქართველოს ნაწილში მთლიანად არ არის მოწესრიგებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომელშიც მონაწილეობდა საქართველო, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI

წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება და ვაჭრობა

მუხლი 55. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და

ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მიზნები

1. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მიზანია:

ა) საქართველოში წყლის ინდუსტრიის განვითარება;

ბ) წყლის სასაქონლო პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტებით წარმოება;

გ) საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გარანტირებული დაცვა წყლის გამოყენებისა და წყლის სასაქონლო პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში; დ)

სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და წყლით საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში;

ე) საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების კომპეტენციების განსაზღვრა წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების რეგულირების სფეროში.

(ვ) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების კომპეტენციების განსაზღვრა წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების რეგულირების სფეროში. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

2. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების მიზნით ხდება:

ა) წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიების დადგენა;

ბ) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, ხარისხის კონტროლის, შესაფუთი მასალების კატეგორიების, ეტიკეტის გაფორმების წესებისა და წარმოების ტექნოლოგიური პირობების დადგენა;

გ) წყლის საბადოსა და წარმოების ეკოლოგიური უსაფრთხოების შეფასება;

დ) წყლის სასაქონლო პროდუქციის სახელმწიფო სერტიფიკაცია;

ე) წყლის ხარისხის ნორმებისა და სახელმწიფო სტანდარტების დადგენა;

ვ) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო ლიცენზირება.

3. ამ თავით განსაზღვრული წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ წარმოებულ (ჩამოსხმულ) ყველა წყალზე, რომელიც იყიდება (უნდა გაიყიდოს) საქართველოს ტერიტორიაზე ან განსაზღვრულია საექსპორტოდ.

მუხლი 56. წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიები

1. საქართველოში წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისათვის (ჩამოსხმისათვის) გამოიყენება მხოლოდ სპეციალურად ამ საქმიანობისათვის ვარგისი მიწისქვეშა და ზედაპირული წყლები, რომლის საბადოთა ექსპლუატაციის, წყლის პროდუქციის სასაქონლო ნიშნების და შესაფუთი მასალების გამოყენების, აუცილებელი ტექნოლოგიური მოწყობილობების ექსპლუატაციის წესები და წარმოების სანიტარიულ - ჰიგიენური პირობები რეგულირდება ამ კანონით და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

2. საქართველოში წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის სასაქონლო პროდუქცია მისი წარმოშობის, ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლებისა და დამუშავების ხარისხის მიხედვით კლასიფიცირებულია ოთხ კატეგორიად:

ა) ნატურალური მინერალური წყალი;

ბ) სამკურნალო მინერალური წყალი;

გ) წყაროს წყალი;

დ) სუფრის წყალი.

3. ნატურალური მინერალური წყალი არის გაბინძურებისაგან ბუნებრივად დაცული, მიწისქვეშა წყლის ერთი საბადოდან წარმოებული (ჩამოსხმული) წყალი, რომლისთვისაც დამახასიათებელია სტაბილური ქიმიური შედგენილობა, ტემპერატურა, დებიტი და რომლის მარაგი დამტკიცებულია. მისი დამუშავების დროს გამოყენებულია ისეთი ტექნოლოგია, რომელსაც არ შეუძლია გამოიწვიოს მისი ბუნებრივი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შედგენილობის ცვლილება. ნატურალურ მინერალურ წყალს შეიძლება ჰქონდეს სამკურნალო თვისებები და დადებით ზეგავლენას ახდენდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

4. წარმოებული (ჩამოსხმული) ნატურალური მინერალური წყალი შეიძლება იყოს გაზირებული და არაგაზირებული. გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი მასში ნახშირორჟანგის წარმოშობისა და შემცველობის მიხედვით იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ა) ბუნებრივად გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი - ნატურალური მინერალური წყალი, რომელშიც ნახშირორჟანგის შემცველობა მისი ჩამოსხმის შემდეგ ისეთივეა, როგორც მისი საბადოდან მოპოვებისას. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ნატურალური მინერალური წყალი, რომელსაც დამატებული აქვს იმავე საბადოდან მოპოვებული ნახშირორჟანგი, თუ დამატებულის რაოდენობა არ აღემატება ჩამოსხმის დროს დაკარგული ნახშირორჟანგის რაოდენობას;

ბ) საბადოს გაზით გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი-ნატურალური მინერალური წყალი, რომელიც გაზირებულია იმავე საბადოდან მიღებული ნახშირორჟანგით და ნახშირორჟანგის შემცველობა ჩამოსხმულ პროდუქციაში მეტია, ვიდრე საბადოდან მოპოვების დროს.

გ) გაზირებული ნატურალური მინერალური წყალი - ნატურალური მინერალური წყალი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად გაზირებულია სხვა საბადოდან მოპოვებული ნახშირორჟანგით.

5. სამკურნალო მინერალური წყალი არის მინერალური წყალი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამკურნალოდ, რასაც განაპირობებს მისი ძირითადი მინერალური და გაზობრივი შემადგენლობა, ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების მაღალი შემცველობა და სპეციფიკური თვისებები (რადიაქტიურობა, ტემპერატურა, მჟავიანობა და სხვა).

6. წყაროს წყალი არის გაბინძურებისაგან ბუნებრივად დაცული მიწისქვეშა წყლის ერთი საბადოდან წარმოებული (ჩამოსხმული) წყალი, რომლის ქიმიური შედგენილობა, ტემპერატურა და დებიტი შესაძლოა არ იყოს სტაბილური და მარაგი არ იყოს დამტკიცებული. მისი დამუშავების დროს გამოყენებულია ისეთი ტექნოლოგია, რომელსაც არ შეუძლია გამოიწვიოს მისი ბუნებრივი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შედგენილობის ცვლილება.

7. სუფრის წყალი არის ყველა სხვა წარმოებული (ჩამოსხმული) მიწისქვეშა ან ზედაპირული წყალი. იგი შესაძლებელია მოიპოვებოდეს ერთდროულად რამდენიმე წყლის ობიექტიდან და მისთვის დასაშვებია დადგენილი წესებით განსაზღვრული ყველანაირი დამუშავება.

მუხლი 57. წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის კატეგორიების მინიჭება

1. წარმოებული (ჩამოსხმული) წყლისათვის ნატურალური მინერალური წყლის კატეგორიის მინიჭებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნების დაცვა:

ა) საბადოს ეკოლოგიური დაცულობა;

ბ) საბადოში წყლის ქიმიური შედგენილობის, ტემპერატურისა და დებიტის სტაბილურობა;

გ) წყლის წარმოება (ჩამოსხმა) ხდებოდეს ერთი საბადოდან;

დ) წყლის საბადოს მარაგი დამტკიცებული იყოს "წიალის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად;

ე) წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება ხდებოდეს მხოლოდ მათი დამაკავშირებელი მილსადენის საშუალებით;

ვ) წყლის დამუშავების დროს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც არ გამოიწვევს მისი ბუნებრივი მიკრობიოლოგიური და ქიმიური შედგენილობის ცვლილებას;

ზ) წყლის ხარისხის შესაბამისობა ბუნებრივი მინერალური წყლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ ნორმებთან.

2. ნატურალური მინერალური წყლის კატეგორიის მისანიჭებლად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) საბადოს ჰიდროგეოლოგიურ აღწერას;

ბ) წყლის მიკრობიოლოგიური, ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების აღწერას და მათ შესაბამისობას ნატურალური მინერალური წყლების სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ ნორმებთან;

გ) წყლის კლინიკური და ფარმაკოლოგიური მახასიათებლების აღწერას (საჭიროების შემთხვევაში);

დ) საბადოს ეკოლოგიური დაცულობის აღწერას;

ე) საბადოში წყლის ქიმიური და მიკრობიოლოგიური შედგენილობის, ტემპერატურის და დებიტის სტაბილურობის დამადასტურებელ ორი წლის ინფორმაციას მაინც;

ვ) საწარმოში წყლის მიწოდებისა და წყლის დამუშავების ტექნოლოგიის აღწერას;

ზ) საბადოს გეოგრაფიულ მდებარეობას და მის სრულ დასახელებას;

თ) წყლის საბადოს მარაგის დამტკიცების ოქმს.

3. სამკურნალო მინერალური წყლის კატეგორიის მინიჭების წესი და პროცედურა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, ხოლო მისი წარმოების, ვაჭრობის და გამოყენების წესები - ამ კანონითა და საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით.

4. წარმოებული (ჩამოსხმული) წყლისათვის წყაროს წყლის კატეგორიის მინიჭებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა, გარდა "ბ" და "დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა.

5. ყაროს წყლის კატეგორიის მისანიჭებლად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ ინფორმაციას, გარდა "ე" და "თ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა.

6. წარმოებული (ჩამოსხმული) სუფრის წყალი უნდა აკმაყოფილებდეს სასმელი წყლის სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ ნორმებს. ამ კატეგორიის მისანიჭებლად წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) წყლის ობიექტის კომპლექსურ დახასიათებას და მის სრულ დასახელებას;

ბ) წყლის მიკრობიოლოგიური, ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლების აღწერას და მათ შესაბამისობას სასმელი წყლის სახელმწიფო სტანდარტით დადგენილ ნორმებთან;

გ) საწარმოში წყლის მიწოდებისა და დამუშავების ტექნოლოგიის აღწერას.

7. საწარმოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე წყლის სასაქონლო პროდუქციას კატეგორიას ანიჭებს, რეგისტრაციაში ატარებს და მინიჭებული კატეგორიის დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (28.12.2005 N 2569)

8. გადაწყვეტილება წყლის სასაქონლო პროდუქციისათვის წყლის კატეგორიის მინიჭების შესახებ მიიღება განაცხადის მიღებიდან არა უმეტეს 3 თვის განმავლობაში.

9. აკრძალულია ერთი კატეგორიის წარმოებული (ჩამოსხმული) წყლის სახელწოდების გამოყენება სხვა კატეგორიის წყლისათვის.

10. ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

მუხლი 58. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ძირითადი მოთხოვნები

1. საქართველოში წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია ხორციელდება დამტკიცებული წესების საფუძველზე, რომლის ძირითადი ელემენტებია:

ა) საწარმოსა და წყლის ჩამოსხმის ტექნოლოგიური პირობები;

ბ) წყლის სასაქონლო პროდუქციის კატეგორიები;

გ) გაბინძურებისგან დაცვის უზრუნველყოფა და საწარმოს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები;

დ) შესაფუთი მასალები, მათ შორის წყალთან კონტაქტში მყოფი მასალები;

ე) გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კონტროლის სისტემა და რეჟიმი;

ვ) ინსპექტირება და ტესტირება;

ზ) დოკუმენტაცია და ჩანაწერები;

თ) პროდუქციის ეტიკეტირება;

ი) პროდუქციის შენახვის ვადა;

კ) წყლის დამუშავების ტექნოლოგია;

ლ) ფალსიფიკაციასთან ბრძოლის სისტემა.

2. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წესები განისაზღვრება დებულებით "წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის წესების შესახებ".

მუხლი 59. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 60. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 61. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 62. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 63. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 64. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 65. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

მუხლი 66. ამოღებულია (07.05.2003 N2192)

თავი VII

წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება

მუხლი 67. წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირების სფერო

წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირება მოიცავს:

ა) წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ეკონომიკური ურთიერთობის განსაზღვრასა და მართვას, მათ შორის ურთიერთობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ბუნებათმოსარგებლეთა შორის;

ბ) გადასახადების სისტემის ფორმირებას წყლითა და მისი ობიექტებით სარგებლობისათვის;

(ბ) წყლითა და მისი ობიექტებით სარგებლობისათვის გადასახადების სისტემის ჩამოყალიბებას; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

გ) წყალმოსარგებლეთა ეკონომიკურ დაცვას.

მუხლი 68. წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი

წყლის დაცვისა და გამოყენების ეკონომიკური რეგულირების მექანიზმი მოიცავს:

ა) წყლის აღრიცხვას და ეკონომიკურ შეფასებას;

ბ) ეკონომიკურად დასაბუთებული წყალსარგებლობის გადასახადების სისტემას;

(ბ) ეკონომიკურად დასაბუთებული წყალსარგებლობის გადასახადების სისტემას; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

გ) წყლის დაცვის, აღდგენის და წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების ბიუჯეტიდან დაფინანსებას;

დ) წყლის დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისთვის ეკონომიკურად დასაბუთებული ჯარიმების სისტემას;

ე) წყლით უკანონო სარგებლობისას, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩამორთმეული ტექნიკური და სატრანსპორტო საშუალებების და წყლის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული სახსრების, ასევე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებაყოფლობითი შეწირულობების მიზანმიმართულ გამოყენებას.

მუხლი 69. წყალსარგებლობის გადასახადების სისტემა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსარგებლობის გადასახადების სისტემა მოიცავს:

ა) გადასახადს წყლის ობიექტებით სპეციალური სარგებლობისათვის;

ბ) წყალსარგებლობის სალიცენზიო მოსაკრებელს.

2. წყალსარგებლობის გადასახადისა და ჯარიმის გადახდა მოსარგებლეს არ ათავისუფლებს წყლის დაცვის ღონისძიებების შესრულების ვალდებულებისაგან და მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან.

3. წყალსარგებლობის გადასახადი გადაიხდება ლიცენზიის გაცემიდან მისი მოქმედების მთელი ვადით.

მუხლი 70. წყალსარგებლობის გადასახადის გადამხდელები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყალსარგებლობის გადასახადის გადამხდელები არიან წყალსარგებლობის სპეციალური ფორმით მოსარგებლე ფიზიკური და იურიდიული პირები (მათ შორის უცხოელები).

მუხლი 71. წყალსარგებლობის გადასახადის შეღავათი ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

საქართველოს პარლამენტმა წყალმოსარგებლეთა ცალკეული კატეგორიები შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს წყალსარგებლობის გადასახადიდან.

მუხლი 72. სალიცენზიო მოსაკრებელი ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. სალიცენზიო მოსაკრებელი არის ერთჯერადი გადასახადი და მოიცავს წყალსარგებლობის ლიცენზიის გაცემაზე კონკურსისა და აუქციონის მომზადებისათვის საჭირო საორგანიზაციო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ხარჯებს (საკონკურსო ან სააუქციონო მოსაკრებელი) და წყალსარგებლობის უფლების მოსაკრებელს.

2. საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო, ასევე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. (8.05.2012. N6164)

3. წყალსარგებლობის უფლების მოსაკრებელს იხდის კონკურსში ან აუქციონზე გამარჯვებული მონაწილე და კონკურსის ან აუქციონის გარეშე გაცემული ლიცენზიის მფლობელი. სალიცენზიო მოსაკრებლის ბიუჯეტში ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონით დადგენილი წესით. (29.12.2004 N 863)

4. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობასა და გადახდის წესს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

5. სალიცენზიო მოსაკრებელი არ იბეგრება.

მუხლი 73. წყლის დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის ეკონომიკური სტიმულირება ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყლის დაცვის, რაციონალური გამოყენებისა და აღდგენის ეკონომიკური სტიმულირება მოიცავს:

ა) საგადასახადო და სხვა შეღავათების დადგენას იმ საწარმოებისათვის, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვით უზრუნველყოფენ წყლის რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას;

ბ) შეღავათიანი სახელმწიფო კრედიტების გაცემას წყლის ობიექტების აღსადგენად და დასაცავად, აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედებასთან დაკავშირებული გამაფრთხილებელი და სალიკვიდაციო სამუშაოების შესასრულებლად;

გ) წყლის დაცვის დარგში განსაკუთრებული დამსახურებისა და წყლის მავნე ზემოქმედების პროცესში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მატერიალურ წახალისებასა და დაჯილდოებას.

თავი VIII

წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა

მუხლი 74. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა

1. წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების მიზნით საქართველოში მოქმედებს წყლის დაცვისა და გამოყენების მართვის ერთიანი სახელმწიფო სისტემა. ამ სისტემის მიზანია:

ა) წყლით რაციონალური სარგებლობის სახელმწიფო პოლიტიკის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველყოფა;

ბ) გაბინძურების, დანაგვიანების და დაშრეტისაგან წყლის დაცვის უზრუნველყოფა;

გ) წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ლიკვიდაცია;

დ) ყველა ფიზიკური და იუზრიდიული პირისათვის წყალსარგებლობის თანაბარ შესაძლებლობათა უზრუნველყოფა;

ე) თავისუფალი ეკონომიკური კავშირების განვითარება;

ვ) წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში საერთაშორისო კავშირების განვითარება და წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და ვაჭრობის, მათ შორის, იმპორტისა და ექსპორტის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესაბამისად;

ზ) წყალსარგებლობის სფეროში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება;

თ) წყალმოსარგებლეთა, მათ შორის უცხოელების, აუცილებელი გარანტიების უზრუნველყოფა და წყალსარგებლობაზე მათი უფლებების დაცვა.

2. საქართველოში წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო, ასევე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. (8.05.2012 N 6164)

(2. საქართველოში წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვას ახორციელებს სამინისტრო, აგრეთვე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკისა

და მდგრადი განვითარების სამინისტროები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოები და თვითმმართველი ერთეულები. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

3. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვა ხორციელდება აღრიცხვის, მონიტორინგის, ლიცენზირების, კონტროლისა და ზედამხედველობის მეშვეობით.

მუხლი 75. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვის ამოცანები

1. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვის ამოცანაა წყლის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება, წყლისა და გარემოს დაცვა, აგრეთვე წყალსარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირება, მიწისქვეშა წყლების სარესურსო ბაზის შექმნა.

2. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო მართვის ამოცანათა შესრულების მიზნით ხდება:

ა) წყლის ამოღების დასაშვები ოდენობის (ლიმიტების) დადგენა;

ბ) წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მათში გამაბინძურებელი ნივთიერებების ოდენობის ლიმიტების დადგენა;

გ) წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების შემუშავება;

დ) მიწისქვეშა წყლების სარესურსო ბაზის განვითარება;

ე) წყალსარგებლობის ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა;

ვ) წყლის შესწავლისა და დაცვის, მისი რესურსების კომპლექსურად და რაციონალურად გამოყენების, წყალსარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში სტანდარტებისა და ნორმების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

(მუხლი 75. წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვის ამოცანები

(25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

1. წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვის ამოცანაა წყლის მდგრადი გამოყენება, წყლისა და გარემოს დაცვა, წყალსარგებლობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირება, მიწისქვეშა წყლების სარესურსო ბაზის შექმნა.

2. წყლის გამოყენებისა და დაცვის სახელმწიფო მართვის ამოცანათა შესასრულებლად ხდება:

ა) წყლის ამოღების დასაშვები ოდენობის დადგენა;

ბ) წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების და მათში გამაბინძურებელი ნივთიერებების ოდენობის დადგენა;

გ) მიწისქვეშა წყლების სარესურსო ბაზის განვითარება;

დ) წყალსარგებლობის ეკონომიკური საფუძვლების განსაზღვრა;

ე) წყლის შესწავლის, დაცვისა და მდგრადი გამოყენების, წყალსარგებლობასთან დაკავშირებულ სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების სფეროში სტანდარტებისა და ნორმების დადგენა და მათი შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.)

მუხლი 76. წყლის და მისი გამოყენების აღრიცხვის სახელმწიფო სისტემა

1. წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ამოცანაა წყლის ობიექტების და მათში არსებული წყლის რაოდენობისა და ხარისხის, მისი გამოყენების მონაცემების დადგენა, წყალმოსარგებლეთა შორის წყლის მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროების პირველ რიგში დაკმაყოფილებით, წყლის დაცვა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების უზრუნველყოფა.

2. საქართველოს წყლის გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა ხორციელდება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ დამტკიცებული ფორმებითა და პროცედურებით. (11.12.2009 N 2296 ამოქმედდეს 2010 წლის 1 თებერვლიდან)

3. წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმებს და მისი წარმოების წესს შეიმუშავებს სამინისტრო საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით "წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმების და მათი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე".

(3. წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმებს და მისი წარმოების წესს შეიმუშავებს და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით „წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმების და მათი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. წყალსარგებლობის სპეციალური ფორმით მოსარგებლე ვალდებულია წყალსარგებლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია უსასყიდლოდ გადასცეს სამინისტროს ბუნებრივი რესურსების შესახებ ერთიან საინფორმაციო სახელმწიფო ფონდს, სამინისტროს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული ფორმის მიხედვით.

5. მიწისქვეშა წყლების შესწავლის სამუშაოები, მათი საბადოები, მარაგი და რესურსები, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებით ყველა სხვაგვარი სარგებლობა, ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციასა და აღრიცხვას "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

(5. მიწისქვეშა წყლების შესწავლის სამუშაოები, მათი საბადოები, მარაგი და რესურსები, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობა და ექსპლუატაცია, აგრეთვე მიწისქვეშა წყლებით ყველა სხვაგვარი სარგებლობა ექვემდებარება „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით აღრიცხვას. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 77. წყლის სახელმწიფო კადასტრი აღრიცხვას. ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყლის სახელმწიფო კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით წყლის აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლის გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

2. წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და სახელმწიფო კადასტრის წარმოება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო კადასტრის შედგენის, აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესები განისაზღვრება დებულებით წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო კადასტრის შედგენის, აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესების შესახებ, რომელსაც საქართველოს გეოლოგიისა და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით შეიმუშავებს და ბრძანებით ამტკიცებს სამინისტრო. (30.06.2000 N 465^ა)

მუხლი 78. წყალსამეურნეო ბალანსები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსამეურნეო ბალანსები დგება ცალკეული წყლის ობიექტების აუზების, ადმინისტრაციული ერთეულების, რეგიონების და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით და მათში შეფასებულია წყლის მდგომარეობის ხარისხი, მოხმარებისა და არსებული რესურსების თანაფარდობა და სტრუქტურა.

2. წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

3. წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის წესი განისაზღვრება დებულებით წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის წესის შესახებ, რომელსაც ამტკიცებენ სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო ერთობლივი ბრძანებით.

მუხლი 79. წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალური, სააუზო და ტერიტორიული კომპლექსური სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე მოსახლეობის და ეროვნული მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აგრეთვე წყლის დაცვისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად.

2. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალურ, სააუზო და ტერიტორიულ კომპლექსურ სქემებში დასახული ღონისძიებები უზრუნველყოფენ წყლის ყველაზე ეფექტიან გამოყენებას (პირველ რიგში წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გათვალისწინებით) წყლის ჩამონადენის რეგულირების, წყლის

მომჭირნობით ხარჯვისათვის და გაუწმენდავი ჩამდინარე წყლის ჩაშვების შეწყვეტისათვის ზომების მიღებით, წარმოების ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის საფუძველზე (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერით გაცივების, ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემების და სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება).

3. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალურ, სააუზო და ტერიტორიულ კომპლექსურ სქემებს შეიმუშავებენ სპეციალიზებული საპროექტო და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, რომელთა კოორდინაციას ახორციელებს სამინისტრო.

4. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალურ, სააუზო და ტერიტორიულ კომპლექსურ სქემებს საქართველოს სოფლის მურნეობისა და სურსათის, მშენებლობისა და ურბანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებთან, გეოლოგიისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით ამტკიცებს სამინისტრო.

5. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალური, სააუზო და ტერიტორიული კომპლექსური სქემების შემუშავება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

6. წყლის გამოყენებისა და დაცვის გენერალური, სააუზო და ტერიტორიული კომპლექსური სქემების შემუშავების წესი განისაზღვრება დებულებით წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების შემუშავების წესის შესახებ, რომელსაც ერთობლივი ბრძანებით ამტკიცებენ სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო.

მუხლი 80. წყლის სახელმწიფო მონიტორინგი

(მდგომარეობაზე დაკვირვების და ანალიზის სისტემა)

1. წყლის სახელმწიფო მონიტორინგი წარმოადგენს წყლის ობიექტებში და ჩამდინარე წყლებში წყლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მდგომარეობაზე რეგულარული დაკვირვებისა და ინფორმაციის ანალიზის ერთიან სისტემას, რომლის მიზანია ინფორმაციის მიღება წყლისა და მისი ობიექტების მდგომარეობის შესახებ, მისი გარემოსთან (ბუნებრივ და ანთროპოგენულ) ურთიერთქმედების, წყლის რესურსების და მდინარეების ენერგეტიკული პოტენციალის შეფასება, წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობის, ღვარცოფის, მეწყერის და სხვა) პროგნოზირება და სხვა.

2. წყლის სახელმწიფო მონიტორინგი ხორციელდება გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის ფარგლებში.

3. წყლის სახელმწიფო მონიტორინგის წარმოების სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს საქართველოს კანონმდებლობა.

4. წყლის სახელმწიფო მონიტორინგს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი. (30.06.2000 N 465^ა)

(4. წყლის სახელმწიფო მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გარემოს ეროვნული სააგენტო. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 81. მიწისქვეშა წყლების მარაგის სახელმწიფო ბალანსი, კონდიციები, მარაგის დამტკიცება და მისი ბალანსიდან ჩამოწერა

მიწისქვეშა წყლების მარაგის სახელმწიფო ბალანსის წარმოება, კონდიციების დადგენა, მარაგის დამტკიცება და მისი ბალანსიდან ჩამოწერა წარმოებს "წიალის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 82. საკუთრება წყლის შესახებ ინფორმაციაზე

1. ინფორმაცია წყლის მარაგის, რესურსების და ხარისხობრივი მდგომარეობის, მიწისქვეშა წყლების საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია.

2. შეიძლება წყლის შესახებ ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა.

3. საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წყლის შესახებ ინფორმაციაზე.

4. დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

მუხლი 83. წყალსარგებლობის ლიცენზირების სახელმწიფო სისტემის

ორგანიზაციული უზრუნველყოფა სქემები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სახელმწიფო სისტემას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს სამინისტრო. (16.09.2004 N 445)

2. ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის რაიონული ორგანო, რომელთანაც ფუნქციონირებს სპეციალიზებული კომისია.

3. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოსა და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისიის ფუნქციაა წყალსარგებლობის ლიცენზიის მისაღებად წარმოდგენილი განცხადებების, პროექტების, კანონით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაციის განხილვა, შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავება, რაც ფორმდება საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოსა და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისიის სხდომების ოქმებით. (16.09.2004 N 445)

4. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭო და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისია დაკომპლექტებულია შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების წარმომადგენლებით. (16.09.2004 N 445)

5. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოსა და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შეყვანილნი იყვნენ წყალმოსარგებლე მეწარმე სუბიექტების წარმომადგენლები. (16.09.2004 N 445)

6. განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიას აფორმებს, გასცემს, სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს, ჩამოართმევს და სახელმწიფო რეგისტრაციიდან ხსნის სამინისტრო, ხოლო სახელმწიფო მნიშვნელობის იმ ზედაპირული წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიას, რომელთა წყლის ფონდის მიწები განლაგებულია მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე - სამინისტროს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანო.

7. ადგილობრივი მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიას აფორმებს, გასცემს, სახელმწიფო რეგისტრაციაში ატარებს, ჩამოართმევს და სახელმწიფო რეგისტრაციიდან ხსნის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის რაიონულ ორგანოსთან შექმნილი კომისია, სამინისტროს ადგილობრივი წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით.

8. სახელმწიფო მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების უფლება სამინისტრომ შეიძლება გადასცეს თავის შესაბამის რეგიონულ სამსახურსაც, რომელთანაც იქმნება შესაბამისი საექსპერტო კომისია.

9. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოსა და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისიის რეგლამენტები და დაკომპლექტების წესი განისაზღვრება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანებით. (16.09.2004 N 445)

10. საუწყებათაშორისო საექსპერტო-სალიცენზიო საბჭოსა და ლიცენზირების რეგიონალური საექსპერტო კომისიის შემადგენლობას ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი. (16.09.2004 N 445)

11. ავტონომიური რესპუბლიკის საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოს შემადგენლობას ადგენს და ამტკიცებს სამინისტროს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი ორგანო, ხოლო ადგილობრივი კომისიების შემადგენლობას - მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

12. მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოსა და რეგიონალური საექსპერტო კომისიების შემადგენლობას ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებით წიაღით სარგებლობის საუწყებათაშორისო ექსპერტთა საბჭოსა და რეგიონალური საექსპერტო კომისიების შემადგენლობის შესახებ "წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 84. წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმები

1. წყლის დაცვისა და გამოყენების ნორმების დაწესების მიზანია დადგინდეს წყალზე საქმიანობის ზემოქმედების ისეთი ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის გარემოს შენარჩუნებას და ეკოლოგიურ წონასწორობას. ამ მიზნით წესდება:

ა) წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმები;

ბ) წყლის ობიექტებში ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის (ჩაშვების) ზღვრულად დასაშვები ნორმები;

გ) წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმები.

2. წყლის მდგომარეობის ხარისხობრივი ნორმებია წყალში ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის მავნე ნივთიერებების კონცენტრაციისა და მიკროორგანიზმების რაოდენობათა ზღვრულად დასაშვები ნორმები;

3. მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის ზღვრულად დასაშვები ნორმებია წყლის ობიექტებში სამრეწველო, საყოფაცხოვრებო-კომუნალური და სხვა ჩამდინარე წყლების ჩაშვების ნორმები, რომელიც დგინდება გაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის მისი ტექნოლოგიური თავისებურებებისა და ადგილმდებარეობის ფონური გაბინძურების გათვალისწინებით იმგვარად, რომ ემისიური ნივთიერებების და მიკროორგანიზმების კონცენტრაციამ ადგილზე არ გადააჭარბოს ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის დონეს.

4. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება დადგინდეს წყალში მავნე ნივთიერებათა(მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის დროებითი ნორმები (ლიმიტები) გარკვეული მოთხოვნებითა და ვადით. აღნიშნული ნორმები წარმოადგენს მავნე ნივთიერებათა წყალში ჩაშვების ლიმიტს. სქემები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

5. წყლის ობიექტების დატვირთვის ნორმები გულისხმობს წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღების კვოტებს, რომლებიც მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით დგინდება დამტკიცებული წყლის გამოყენების და დაცვის გენერალური, სააუზო და ტერიტორიული კომპლექსური სქემების და წყალსამეურნეო ბალანსების საფუძველზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.სქემები ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

6. წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების, გარემოში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის ზღვრულად დასაშვები ნორმების, წყლის ამოღების კვოტების და წყალში მავნე ნივთიერებათა ემისიის (მათ შორის, მიკროორგანიზმების) დროებითი ნორმების (ლიმიტების) დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით "გარემოს დაცვის შესახებ"

(6. წყლის ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების, გარემოში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის ზღვრულად დასაშვები ნორმების, წყლის ამოღების კვოტების და წყალში მავნე ნივთიერებათა (მათ შორის, მიკროორგანიზმების) ემისიის დადგენის წესი განისაზღვრება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

მუხლი 85. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა

1. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის ამოცანაა უზრუნველყოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის

მიერ წყლის დაცვის ვალდებულებათა შესრულება, წყლის ობიექტებით სარგებლობისა და მათი დაცვის წესებისა და კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების დაცვა.

2. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას ექვემდებარება მოსარგებლის ნებისმიერი ქმედება, რომელიც დაკავშირებულია წყლის ობიექტებით სარგებლობასთან.

3. სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში აწარმოებს სამინისტრო, ხოლო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში - საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის და სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროები.

(3. წყლის გამოყენებისა და დაცვის სფეროში სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებს სამინისტრო, ხოლო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

4. სამინისტრო აკონტროლებს და აწესრიგებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წყლის კანონმდებლობით დადგენილი წყალსარგებლობის წესების, გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან წყლის დაცვის ნორმებისა და წესების მოთხოვნათა შესრულების, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებების, წყლის გამოყენების პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვის წარმოებისა და სხვა ვალდებულებათა შესრულებას.

5. წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლის მიზანია:

ა) საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, გემებისა და სხვა მცურავი საშუალებების (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და წყლის კანონმდებლობის, წყლის დაცვისა და გამოყენების ინსტრუქციების დაცვა;

ბ) წყლის ობიექტების რაციონალურად გამოყენება (მათი კომპლექსური გამოყენების მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით), წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან დაცვა, აგრეთვე წყლის რესურსების იმ მიზნების შესაბამისად გამოყენება, რისთვისაც გადაცემულია სარგებლობაში;

(ბ) წყლის ობიექტების რაციონალური გამოყენება (მათი კომპლექსური გამოყენების მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით), წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან დაცვა; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს))

გ) წყალსამეურნეო სისტემებისა და წყალსაცავების, აგრეთვე წყალსაცავებად გამოყენებული ტბებისა და სხვა წყალსატევების ექსპლუატაციის წესების დაცვა;

დ) გამწმენდ ნაგებობათა და მოწყობილობათა მუშაობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, აგრეთვე ჩამდინარე წყლების ჩაშვების წესებისა და პირობების მკაცრად დაცვა;

ე) წყალსარგებლობისა და წყალჩაშვების ნორმებისა და წესების, აგრეთვე წყალსარგებლობის დადგენილი რეჟიმის დაცვა;

ვ) საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში წყლის დაცვისა და გამოყენების დარგში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა;

ზ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წყალდაცვით ზოლებსა და სანიტარიული დაცვის ზონებში წყლის დაცვის ღონისძიებათა, აგრეთვე წყლის მავნე ზემოქმედების (წყალდიდობა, დატბორვა, შეტბორვა, ნაპირების ნგრევა და სხვა მავნე მოვლენები) წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესრულება;

თ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წყლის ობიექტებიდან აღებული და მასში ჩაშვებული წყლის რაოდენობის პირველადი აღრიცხვის სწორად წარმოება და ჩაშვებული წყლის ხარისხის განსაზღვრა; წყლის მოხმარებისა და ჩაშვების აღრიცხვისათვის საჭირო მოწყობილობისა და აპარატურის არსებობის უზრუნველყოფა, მისი მდგომარეობის შემოწმება და ამ მოწყობილობისა და აპარატურის სახელმწიფო ატესტაციის დაწესებული ვადის დაცვა.

6. სამინისტროს უფლება აქვს:

ა) შეწყვიტოს წყლისა და მისი ობიექტებით თვითნებური, აგრეთვე წყლის დაცვისა და გამოყენების დადგენილი წესების, ვადის, კვოტების და სხვა მოთხოვნების დარღვევით სარგებლობა;

ბ) გასცეს განკარგულებები წყლის დაცვისა და გამოყენების წესების, კვოტების, ვადისა და სხვა მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის შესახებ;

გ) შეაჩეროს სამუშაოები, რომელთა განხორციელებისას სისტემატურად ირღვევა წყლის დაცვისა და გამოყენების წესები, კვოტები და სხვა მოთხოვნები, ამ დარღვევათა აღმოფხვრამდე.

7. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო კონტროლს და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში.

(7. წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების სახელმწიფო კონტროლსა და ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

8. საქართველოს ნორმატიული აქტებით შეიძლება დადგენილ იქნეს წყლის დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის სხვა მიზნები.

მუხლი 86. გარემოსდაცვითი ნებართვა და სახელმწიფო

ეკოლოგიური ექსპერტიზა წყალსარგებლობის სფეროში ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსარგებლობის სამუშაოები ექვემდებარება აუცილებელ სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზას და გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და შემთხვევებში.

2. წყლის ობიექტების სპეციალურ სარგებლობაში გადაცემა ნებადართულია მხოლოდ საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების შემდეგ.

თავი IX

პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვისამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 87. პასუხისმგებლობა ამ კანონის დარღვევისათვის ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარად თუ ფარული ფორმით არღვევენ წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

2. იმ პირებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარიგების დადებაში, აგრეთვე:

ა) წყლის ობიექტების თვითნებურ დაკავებაში ან წყლით თვითნებურ სარგებლობაში

ბ) წყლის ობიექტებიდან წყლის დადგენილი ნორმების დარღვევით აღებაში;

გ) წყლის გაბინძურებასა და დანაგვიანებაში;

დ) ისეთი საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო, კომუნალური და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემაში, რომლებიც აღჭურვილი არ არიან წყლის გაბინძურების, დანაგვიანებისა და მისი მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად საჭირო ნაგებობებითა და მოწყობილობებით;

ე) წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევაში, რაც იწვევს წყლის გაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს;

ვ) სანიტარიული დაცვის ზონებსა და წყალდაცვით ზოლებში სამეურნეო საქმიანობის დადგენილი რეჟიმის დარღვევაში;

ზ) ჰიდროტექნიკური და წყლის მდგომარეობაზე გავლენის სხვა სამუშაოების თვითნებურად წარმოებაში;

თ) წყალსამეურნეო და წყალდამცავი ნაგებობებისა და მოწყობილობების დაზიანებაში;

ი) ავარიული სიტუაციების, ზალპური წყალჩაშვების, სხვა განსაკუთრებული სიტუაციების შესახებ ინფორმაციის დამალვასა და დამახინჯებაში, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ წყლის მდგომარეობაზე;

კ) წყალსარგებლობის თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდებაში, წყალშოში აპარატურის უქონლობასა და წყლის პირველადი და სახელმწიფო აღრიცხვების წარმოებისათვის თავის არიდებაში;

ლ) წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლუატაციის წესების დარღვევაში;

მ) წყლის სასაქონლო პროდუქციის წარმოების წესების დარღვევაში;

ნ) ანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა და მოთხოვნების დარღვევაში, ეკისრებათ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს პასუხისმგებლობა წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში კანონმდებლობის სხვა დარღვევებისთვისაც.

მუხლი 88. ზიანის ანაზღაურება

1. წყალმოსარგებლენი ვალდებული არიან ანაზღაურონ ამ კანონის დარღვევით მიყენებული ზიანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ოდენობითა და წესით.

2. დებულებებს "წყლის რესურსების გაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" და "შავი ზღვის წყლების გაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" შეიმუშავენ და ამტკიცებს სამინისტრო ბრძანებებით "წყლის რესურსების გაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" და "შავი ზღვის წყლების გაბინძურებით, სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე".

3. პასუხისმგებლობის დაკისრება არ ათავისუფლებს სამართალდარღვევის ჩამდენს ამ კანონის დარღვევით მიყენებული ზიანის დადგენილი ოდენობითა და წესით ანაზღაურებისაგან.

4. წყლით თვითნებური სარგებლობა, წყლის ფონდის მიწების თვითნებურად განაშენიანება და სხვა უკანონო საქმიანობა აღიკვეთება გაწეული ხარჯების აუნაზღაურებლად.

მუხლი 89. წყალსარგებლობის გამო დავის გადაწყვეტა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყალსარგებლობის საკითხებთან დაკავშირებულ დავას წყვეტს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი X

**საერთაშორისო ხელშეკრულებები და
შეთანხმებები**

მუხლი 90. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები

და შეთანხმებები წყლის დაცვისა და გამოყენების სფეროში

თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულია წყლის შესახებ საქართველოს კანონმდებლობისგან განსხვავებული წესები და იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების წესები.

კარი III

გარდამავალი ნაწილი

თავი XI

ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებანი

მუხლი 91. ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული გარდამავალი დებულებანი ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები ძალაში შედის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევიდან ორი წლის შემდეგ.

2. ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემის ორგანიზაციულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების ამოქმედებამდე ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის ობიექტებით სარგებლობის ლიცენზირების სისტემის ორგანიზაციული უზრუნველყოფა დაეკისროთ სამინისტროს რეგიონალურ ორგანოებს, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებში - სამინისტროს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის ორგანოს.

მუხლი 92. ამ კანონის VI თავის 57-ე მუხლის პირველი პუნქტის "ე"

ქვეპუნქტთან დაკავშირებული გარდამავალი დებულება ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

წყლის საბადოსა და წყლის ჩამომსხმელ საწარმოს შორის წყლის ტრანსპორტირება მილსადენის გარეშე, სპეციალიზებული ცისტერნებით, დასაშვებია 2005 წლის 31 დეკემბრამდე, მხოლოდ ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებულ წყლის სასაქონლო პროდუქციის მწარმოებელ (ჩამომსხმელ) საწარმოებისათვის.

მუხლი 93. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

ამ კანონთან დაკავშირებით მიღებულ იქნეს შემდეგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება "საქართველოში წყალდიდობის და წყლის სხვა მავნე ზემოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და მისი შედეგების ლიკვიდაციის შესახებ";

ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის /მინისტრის ბრძანება განსაკუთრებული სახელმწიფო და სახელმწიფო მნიშვნელობის ზედაპირული წყლის ობიექტების ნუსხების დამტკიცების თაობაზე";

გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრისა და საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლივი ბრძანება სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის მიწისქვეშა წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე"; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ერთობლივი ბრძანება „ზღვის ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოსაპოვებლად უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის გამოყოფილი შავი ზღვის ცალკეული რაიონის (რაიონების) დამტკიცების შესახებ“; *(5.12.2008 N 624)*

ე) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალო და საკურორტო საჭიროებისათვის წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე;

ვ) საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე არსებული წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ზ) საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანება დაცული ტერიტორიების კატეგორიის მქონე წყლის ობიექტების პერსპექტიული ქსელის შექმნის მიზნით განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის ჯგუფს მიკუთვნებული წყლის ობიექტების ბაზაზე წყლის ობიექტების სარეზერვო ფონდის საზღვრების" დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

თ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "მიწისქვეშა წყლებით საერთო წყალსარგებლობის განხორციელებისათვის საჭირო უმარტივესი ნაგებობების და მოწყობილობების რეგისტრაციის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ი) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება "განსაკუთრებულ შემთხვევებში წყალმოსარგებლეთა უფლებების შეზღუდვის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

კ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყალსარგებლობის უფლების შეზღუდვის, შეჩერების ან შეწყვეტის წესის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ლ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყლის ობიექტიდან ნივთიერებების (წყალში გახსნილი და შეტივანარებული-კოლოიდური ნივთიერებების, დატბორილი მერქნის) ამოღების ლიცენზიის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

მ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "საკურორტო (წყლის ამოღების გარეშე) და სპორტული მიზნით წყლის ობიექტით ან მისი ნაწილით სპეციალური წყალსარგებლობის ლიცენზიის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ნ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყლის ობიექტებზე ხე-ტყის დასაცურებლად წყალსარგებლობის ლიცენზიის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ო) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება ზედაპირული წყლის ობიექტიდან წყლისა და ნივთიერებების ამოღების ლიცენზიის მიღებისათვის განაცხადის ფორმისა და წარდგენის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

პ) ამოღებულია (16.09.2004 N 445)

ჟ) ამოღებულია (16.09.2004 N 445)

რ) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება "მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებისათვის წყლის ობიექტების დაცვისა და გამოყენების წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ს) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება "სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე";

ტ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყალსავალი გზებისათვის სანაოსნო და ხე-ტყის დასაცურებელი კატეგორიის მიკუთვნების და ამ მიზნებისათვის წყალსავალი გზების ექსპლუატაციის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

უ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "თევზის მეურნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტების,

მათი ცალკეული უბნების ნუსხისა და მათ ფარგლებში წყალსარგებლობის შეზღუდვის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

ფ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება წყლის და მისი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო კადასტრის შედგენის, აღრიცხვისა და კადასტრის შედგენისათვის საჭირო მონაცემების წარდგენის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ქ) საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ღ) საქართველოს ეკონომიკის მინისტრისა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება წყლის გამოყენებისა და დაცვის კომპლექსური სქემების შემუშავების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

ყ) ამოღებულია (16.09.2004 N 445)

შ) ამოღებულია (16.09.2004 N 445)

ჩ) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

ც) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

ძ) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

წ) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

ჭ) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

ხ) ამოღებულია (28.12.2005 N 2569)

ჯ) საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება "ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

(**ჯ) საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება „ენერგეტიკული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“; (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**)

3) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყლის გამოყენების პირველადი აღრიცხვის ფორმების და მათი წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე";

3ა) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყლის რესურსების გაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3ბ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "შავი ზღვის წყლების გაბინძურებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის დაანგარიშების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე; **ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)**

3გ) საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება "წყალდაცვითი ზოლის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე;

3დ) საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბრძანება "ირიგაციული დანიშნულების წყალსაცავების ექსპლუატაციის წესების შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე.

3.ე) საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 1 იანვრამდე მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს კანონპროექტი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“, რომლითაც აღდგება წყალსარგებლობის სფეროში შესაბამისი უფლებააღმჭურველი აქტების აღების ვალდებულება. (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

მუხლი 94. ამ კანონთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტების ამოქმედების ვადა ამოღებულ იქნეს (25.03.2013. N494 ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-40 დღეს)

1. ამ კანონის 93-ე მუხლში მითითებული ნორმატიული აქტები ამოქმედდეს 1997 წლის 31 დეკემბრიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში მათი შეტანისა და ტექსტების ოფიციალური გამოქვეყნების შემდეგ.

2. ამ კანონის 93-ე მუხლში აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მოხდება წყლის რესურსების დაცვისა და სარგებლობის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით.

კარი IV დასკვნითი ნაწილი

თავი XII დასკვნითი დებულებანი

მუხლი 95. ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ 1974 წლის 5 ივნისის კანონი საქართველოს სსრ წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ., N 6, მუხ. 107) და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

თავი XIII კანონის ამოქმედება

მუხლი 96. "წყლის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს 1997 წლის 25 ნოემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი,
1997 წლის 16 ოქტომბერი.
N 936-IX